1929

№ 1. წელიწადი პირველი. ფასი ყველგან 15 კა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



ყველა—საბჭოთა საანგარიშო კრებებზე!

დეპოს მუშ[illegible] ისმენენ თბილისის საბჭოს საანგარიშო მო[illegible]



ე რ ნ ს ტ  ტ ო ლ ლ ე რ ი, ცნობილი გერმანელი დრამატურგი— რევოლიუციონერი, ავტორი პიესების „კაცი მასსა“ და სხვ. ამჟამად საბჭოთა კავშირში იმყოფება.



ვ. კ ი რ შ ო ნ ი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულიარული საბჭოთა მწერალი, ავტორი პიესის „რელსები გუგუნებენ“, რომელიც ამჟამად დიდის წარმატებით მიდის რუსთაველისა და თბილისის მუშათა თეატრში.




ამერიკული სტილის დიდი შენობა, რომელიც დაიწყეს ბერლინში. იქ მოთავსებული იქნება პაპიროსების უზარმაზარი ფაბრიკა.



გ ო ლ ტ გ ო ლ დ  ე ფ რ ა ი მ  ლ ე ს ს ი ნ გ ი, გერმანიის გამოჩენილი პოეტი და დრამატურგი, რომლის დაბადების 200 წ. თავს იდღესასწაულებენ ამ დღეებში.



ცნობილი ხელოვანი და „მადლიერი“ ბურჟუაზიული სამშობლო. ამას წინად ქ. მარსელის ახლო (საფრანგეთი) თავი ჩამოიღრჩო თავის საკუთარ სახელოსნოში ცნობილმა მოქანდაკე ევგენი პირონმა, რომელიც ერთ დროს დასაჩუქრებული იყო ეგრედ წოდებულ რომის ჯილდოთი. სიღარიბე და სისაწყლეში ჩავარდნილმა ველარ აიტანა თავისი ბეჩავი მდგომარეობა და თვითმკვლელობით გაათავა სიცოცხლე.



მ ა ხ ა ტ მ ა  გ ა ნ დ ი, ინდოეთის კაპიტალისტური ბურჟუაზიის ბელადი.



ყველაზე უფრო მაღალი სახლი ნიუ-იორკში, რომლის აშენება გათავდება ამ წლის შემოდგომაზე. ის შეიცავს 54 სართულს, 3000 (სამი ათას) ოთახს.



მოხერხებული მანდილოსანი, რომელსაც მკითხველი უცქერის ამ სურათზე, არის ლონდონის „მაღალი“ საზოგადოების „ნატეხი“ მისტრის ჰოლა სარგუდ. სახელი გაითქვა მით, რომ როდესაც, შეპირების თანახმად, მისი საქმრო მას უცდიდა ლონდონის ერთ-ერთ ეკლესიაში ჯვარის დასაწერად (ლონდონში „მმაჩი“ არ მუშაობს!) ჰოლა სარგუდმა სწორეთ ამ დროს სხვასთან და სხვა ეკლესიაში გაათავა საქმე.



პ რ ო ფ. ე კ კ ე ნ ე რ ი, დირიჟაბლების ცნობილი მშენებელი. მისი ხელმძღვანელობით არის აგებული დირიჟაბლი „ლც. 126“, რომელიც ამერიკელებს გადაეცა სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში და ახლა „ლოს-ანჟელოსის“ სახელს ატარებს, მან ააგო აგრეთვე დირიჟაბლი „ლც 127“, რომელიც შარშან დიდის წარმატებით გადაფრინდა ევროპიდან ამერიკაში და უკან.

ამჟამად მისი ხელმძღვანელობით შენდება დირიჟაბლი „ლც 128“.





ულვაში „ავარდნილი“ და ულვაში „ჩამოვარდნილი“

ზ ე ვ ი თ — ვილჰელმ მეორე, გერმანიის ყოფილი იმპერატორი.

ქ ვ ე ვ ი თ — ვილჰელმ ჰონგენცოლერნი, ქ. დორნის (ჰოლანდია) მოქალაქე, ემიგრანტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 1 1929 წ. 17 იანვარი

F 749

## ვიცავთ მუშკორებს

მუშკორ ვაჩეიშვილზე შეიარაღებულმა თავდასხმამ სრულიად ბუნებრივად მიიპყრო ფართე მშრომელი მასების არაჩვეულებრივი ყურადღება. თუ რამდენად ძლიერი იყო ეს ყურადღება, ამას მოწმობს ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც გამოიწვია თავდამსხმელთა გასამართლებამ.

თბილისში იშვიათად მომხდარა ისეთი საჩვენებელი გასამართლება, როგორიც იყო მუშკორ ვაჩეიშვილის მდევნელთა—ა. ბახტაძის, ი. ბრეგაძის და ი. ლეიბმანის პროცესი. სასამართლოს ყოველ მორიგ სხდომის გახსნის წინ შენობას რამოდენიმე საათით ადრე გარს ერტყმოდა დარბაზში შესვლის უამრავი მსურველი. სამწუხაროდ, ადგილის უქონლობის გამო ყველას არ ჰქონდა შესაძლებლობა მოხვედროდა სასამართლოს დარბაზში.

პროცესმა სავსებით ცხადჰყო, რომ მთავარი „გმირი“ არქიპო ბახტაძე დათხოვნილ



ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

იქნა თანამდებობიდან მამხილებელი კორესპონდენციის გამო. „გაუბედურებულ“ ბახტაძის შთაგონებით მოქმედებდა თბილისის სისხლის სამართლის კომენდანტი ივანე ბრეგაძე. ბრეგაძე ნაგანით თავს დაესხა მუშკორ ვაჩეიშვილს, რომელიც ბახტაძეს და ბრეგაძეს მიაჩნდათ მამხილებელ კორესპონდენციის ავტორად.

წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ბრალდებულთა იმ დახასიათებამ, რომელსაც სასამართლოში იძლეოდენ მოწმეები. თვით ბრალდებულთა მიერ დასახელებული მოწმეებიც კი არ ზოგავდენ შავ სალებავებს ბახტაძე—ბრეგაძის ბანდიტურ ფიზიონომიის დასახატავად სასამართლოს წინაშე.

მუშკორ ვაჩეიშვილზე თავდამსხმელთა პროცესი მრისხანე გაფრთხილებაა ყველა მათთვის, ვინც გაბედავს ხელის აღმართვას მუშა და გლეხ კორესპონდენტის წინააღმდეგ. ბახტაძე—ბრეგაძეებს უნდა ახსოვდეთ, რომ პროლეტარული ხელისუფლება არ დაინდობს მუშკორთა მდევნელთ, ვინც და რა თანამდებობის პირნიც არ უნდა იყვნენ ისინი.



ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს დ ა რ ბ ა ზ შ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოფის კონდახით თავში

ე. ზარდე



კ. ლიბკნეხტი



კ. ლიბკნეხტი სიტყვას ამბობს სპარტაკელების მიტინგზე ბერლინში



რ. ლიუქსემბურგი

ეს იყო 1919 წლის იანვარში.

ამ დროისათვის გერმანიის სახალხო რწმუნებულთა საბჭოდან გამოვიდნენ ცრუ მემარცხენეები—დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები—გააზე, დიტმანი და ბარტი და მათი ადგილი დაიჭირეს ვისსელმა და გერმანიის მუშების მომავალმა ჯალათმა ნოსკემ.

კურსი სოციალიზმისაკენ ჩაიფერფლა ისე, რომ აყვავებაც ვერ მოასწრო. „სოციალიზაციის“ კომისია კაუცკი-ჰილფერდინგის მეთაურობით ჩუმათ კვდებოდა.

სოციალიზმის„ნაცვლად „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ სოციალ-დემოკრატებმა—შეიდემანმა და კომპ. აიღეს მტკიცე კურსი ბურჟუაზიული წყობილების გადარჩენაზე მუშური რევოლიუციის შემოტევისაგან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ უღალატა მუშათა კლასს ისევე, როგორც 1914 წ. აგვისტოში სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპს, და თავის ქვეყნის ბურჟუაზიასთან ერთად დადგა „სამშობლოს“ სადარაჯოზე.

და 1919 წელს, ისე როგორც ხუთი წლით ადრე, გერმანიის მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას წინ „აღუდგა რკინის კარლი“—კარლ ლიხკნეხტი.

.მაგრამ, თუ ı914 წ. კარლ ლიბკნეხტის ხმა იკარგებოდა საყოველთაო შოვინისტურ-იმპერიალისტურ ღრიალში, 1919 წ. ის უკვე აღარ იყო მარტო. მას გვერდში ედგა ნაცად თანამებრძოლთა მთელი გვარდია, გვარდია ბოლშევიკ-სპარტაკელების.

— ბრძოლა სოციალიზმისათვის საბჭოთა რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ერთად,— ასეთი იყო კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოწოდება.

და გერმანელმა მენშევიკებმა განიზრახეს ამ მქუხარე მოწოდების ხმის ჩახშობა.

ლიბკნეხტზე და როზა ლიუქსემბურგზე დაიწყეს ნადირობა. რევოლიუციონურ მუშათა კლასის ორივე ბელადი იძულებული შეიქნა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. იმპერატორ ვილჰელმის გერმანიაშიც კი არ განიცდიდნენ ისინი ასეთ დევნას. ჯურღმულებიდან განაგრძობდნენ რევოლიუციონური „ბრძოლის ხელმძღვანელობას“ რკინის კარლი და „წითელი როზა“. მიუხედავათ პოლიციის ენერგიული ცდებისა, მათი ბინა ვერ აღმოაჩინეს. მუშური ბერლინი საიმედოთ მალავდა თავის ბელადებს.

მენშევიკური მთავრობა არ კმაყოფილდებოდა მარტო პოლიციის ძალებით რევოლიუციონურ მოძრაობასთან საბრძოლველად. იგი ამ მიზნით სიამოვნებით სარგებლობდა აგრეთვე ბურჟუაზიის ნებაყოფილობითი კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციების დახმარებითაც.

ერთი ასეთ ორგანიზაციას მეთაურობდა ცნობილ გერმანელ მენშევიკის—შეიდემანის სიძე—ხენკი. სწორეთ ამ ორგანიზაციის აგენტებმა აღმოაჩინეს ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის არალეგალური ბინა.

დაპატიმრებულები მიიყვანეს სასტუმრო „ედენში“, სადაც მოთავსებული იყო ბერლინში რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობათ სამხედრო მინისტრ მენშევიკ ნოსკეს მიერ გამოწვეული ცხენოსან-გვარდიელთა დივიზიის შტაბი.

ცოტა ხანს შემდეგ კარლ ლიბკნეხტი გამოჰყავთ სასტუმროდან. სასტუმროს კარებში ჯარისკაცმა რუნგემ ლიბკნეხტს თავში დაჰკრა თოფის კონდახი. გონება დაკარგული კარლი ეცემა მიწაზე, ოფიცრები მას მიათ-



კ. ლიბკნეხტი კუბოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიის კომპარტიის ათი წლის თავის გამო

## (ცოტა რამ პარტიის ისტორიიდან)

ვერნერ ჰირშ

როდესაც ჩვენი პარტიის არსებობის ათი წლის თავის (1918—30 დეკემბერი—1928) საიუბილეო დღის გამო კომუნისტური მოძრაობის წინა ისტორიას თვალს შევავლებთ, უთუოდ საჭიროდ იქნება გერმანიის სოციალისტური მოძრაობის ზოგადი განვითარების პირველ ეტაპების გათვალისწინებაც.



კ. ლიბკნეხტი

გერმანიის კომპარტიას სრული უფლება აქვს თავისი არსებობის ათი წლის თავზე საქვეყნოდ განაცხადოს, რომ იგი ერთად ერთი მემკვიდრეა გერმანიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო რევოლიუციონური ტრადიციებისა, გერმანული მეცნიერული სოციალიზმისა და ერთად ერთი გამომხატველი გერმანიის პროლეტარიატში გავრცელებული მარქსიზმის.



კ. მარქსი

### გოტადან—სოციალისტების კანონამდის

გერმანიის სოციალდემოკრატია წარმოიშვა ორი ფრაქციიდან: აიზენახელებისა და ლასსალელებისაგან. ორივენი აგაფთრებით ებრძოდნენ ერთი მეორეს რამოდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ გაერთიანდნენ საერთო პარტიულ ყრილობაზე ქ გოტაში—1875 წელს. ლასსალის ისტორიული დამსახურებაც ის გახლავთ, რომ მან „მუშათა საყოველთაო გაერთიანების" დაარსებით გერმანიის პროლეტარიატი ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენიდან გამოსთიშა. ლასსალმა დააყენა ეს პროლეტარიატი დამოუკიდებელი, პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზაზე.



ნ. ლენინი



რ. ლიუქსემბურგი

უეჭველია, ის იდეოლოგია, რომელიც უანდერძა ლასსალმა პროლეტარიატს, ფრიად დაშორებული იყო მეცნიერული სოციალიზმის პრინციპებისაგან. გარდა ამისა მისი მოძღვრება დიახაც გაჟღენთილი იყო იდეალისტური აზროვნების სულით. ლასსალის იდეები უაღრესი ილიუზიებით იყო დატვირთული. ილიუზიებს შეიცავდა როგორც მისი წარმოდგენა სახელმწიფოს არსობის, აგრეთვე



ფ. ენგელსი

---

რევენ ავტომობილში და მიყავთ. მოულოდნელად ავტომობილი ჩერდება, თითქოს რაღაც გაუფუჭდა. ლიბკნეხტი გადმოიყვანეს, უფრო სწორად — გადმოათრიეს ავტომობილიდან და წაიყვანეს რომელიღაც გაუნათებელი ბილიკით. შეიარაღებულმა ოფიცრებმა რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ლიბკნეხტი მოჰკლეს. მკვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ ოფიცრები: ფონ პფლუგ-გარტუნგი, შტიგე, ლიპმანი, ფონ-რიტგენი, გეინც ფონ-პფლუგი და ეგერი კლემენს ფრიდრიხი.



ნოსკე

**გერმანიის მუშების ჯალათი. როზა ლიუქსემბურგისა და კ. ლიბკნეხტის მკვლელების ხელის შემწყობი.**

რამდენიმე ხნის შემდეგ მოკლული ლიბკნეხტი მიიტანეს მორგში, როგორც „უცნობის" გვამი.

ოფიცრების ბანდამ ასევე იძია შური როზა ლიუქსემბურგზეც. ავადმყოფ რევოლიუციონერ-ქალს იმავ ჯარისკაცმა რუნგემ სასტუმროს კარებში ორჯერ დაარტყა თოფის კონდახი. ნახევრად ცოცხალ-მკვდარი ლიუქსემბურგ შეათრიეს ავტომობილში და წაიყვანეს ზოოლოგიურ ბაღისაკენ. გზაში ერთმა მხლებელთაგანმა რაღაც მაგარი საგანი დაჰკრა თავში როზა ლიუქსემბურგს, პორუჩიკმა ფოგელმა კი რევოლვერი ესროლა და მოჰკლა იგი.

მკვდარი რევოლიუციონერი ლანდვერარხში გადააგდეს. მისი გვამი მხოლოდ $4^1/_2$ თვის შემდეგ იპოვეს.

ასე გაათავა თავისი სიცოცხლე გერმანიის მუშათა კლასის ორმა ბელადმა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ სიმართლე ამ უსაზიზღრესი მკვლელობის შესახებ არ გამომჟღავნებულიყო, მაგრამ მუშათა მასების აღშფოთება იმდენათ ძლიერი იყო, რომ პროლეტარიატის ღალატში დახელოვნებულ მენშევიკთათვისაც კი უხერხული შეიქნა დამნაშავეთა „დაუსჯელად" დატოვება. ისინი იძულებული შეიქნენ მუშების თვალის ასახვევათ მოეწყოთ დამნაშავეთა „გასამართლება". რომ ეს გასამართლება ცარიელი კომედია იყო, ამას ამტკიცებს თუგინდ ის ფაქტი, რომ სასამართლოს ერთ-ერთ წევრად იყო კაპიტანი კანარისი—კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მკვლელობის ერთ ერთი მონაწილე.

ადვილი მისახვედრია, თუ როგორ „დასჯიდა" მკვლელებს ასეთ „მოსამართლეთაგან" შედგენილი სამსჯავრო.

ორი კვირის შემდეგ კაპიტანმა კანარისმა ყალბი პასპორტი მისცა როზა ლიუქსემბურგის მკვლელს პორუჩიკ ფოგელს და ჰოლანდიაში გააპარა იგი.

დოკუმენტალურად დამტკიცებულია, რომ ეს ყალბი პასპორტი დამზადდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, დაამოწმეს ბერლინის პოლიციის სამმართველოში და სამხედრო მინისტრ მენშევიკ ნოსკეს დასტურით მისცეს პორუჩიკ ფოგელს.

არც გერმანიისა და არც მთელი მსოფლიოს მუშები არას დროს არ დაივიწყებენ გერმანელი მენშევიკების მიერ მოკლულ ორ მებრძოლს.

და გერმანიის ოქტომბრის დღეს ღირსეულ პასუხს მოსთხოვენ მათ მკვლელებს.

ე. გარდე

მისი შეხედულებაც იმ შესაძლებლობის შესახებ, რომლის შემწეობითაც საერთო რეფორმებით, მუშების კლასობრივი მიზნები სოციალიზმი უნდა განხორციელებულიყო.



ლ. იოგიხეს (ტიშკო)

თუმცა აიზენახ ელების მიმართულება პერსონალური კავშირის წყალობით უფრო დაახლოებული იყო მარქსთან და ენგელსთან, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ბევრად იყო დაცილებული მარქსისა და ენგელსის მეცნიერული აზროვნების მწვერვალებისა და მათ ნათელ რევოლიუციონურ შემეცნებისაგან.

ამგვარად, გოტაში მომხდარ გაერთიანების შედეგად პარტიის რიგებში აღმოჩნდა ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტი და სხვადასხვაგვარი იდეური მიმართება.

„რკინისა და სისხლის“ კანცლერის—ბისმარკის მიერ სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემულმა კანონმა ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა ფილისტერობის, „მეშჩანობის“, რბილკანიანობის და სხვა ამგვარი წვრილბურჟუაზიული შხამის ოშხივარი. მაგრამ ამავე კანონმა საბრძოლველად აამოძრავა პროლეტარული მასსების რევოლიუციონური ძალები და ამგვარად შეიქმნა იგი სოციალისტური მოძრაობის, მასსების თვითცნობიერების და თვალის ახელის ბერკეტი.

ამავე კანონმა სულიერად გამოსთიშა პროლეტარული მასები ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენიდან. ხოლო ამ მასების ორგანიზაციული გამოთიშვა ლასსალის წყალობით გაცილებით უფრო ადრე მოხდა.

## მარქსისა და ენგელსის ანდერძი

სოციალისტების კანონის მოსპობისა და პარტიის თეორეტიული ორგანოს — „ნოიე ცაიტ“-ის (Neue Zeit) დაარსებიდან ახალი პერიოდი იწყება. ამ ხანას თავისი წინასწარი მუშაობით ნიადაგი შეუმზადა გერმანიაში, პარტ. ორგანომ „სოციალდემოკრატმა“, რომელიც ჯერ კიდევ სოციალისტების კანონის დროს უცხოეთში გამოდიოდა.

ამ ეპოქაში იწყება სწორედ გერმანული მუშათა მოძრაობის გაჟღენთვა მარქსიზმის დროს იდეებითა და პრინციპებით.

ფრანც მეჰრინგმა, თავდაპირველად კაუცკის თანამშრომლობით, საპიონერო მუშაობა შეასრულა მარქსისა და ენგელსის დიდი მოძღვრებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. მან ჩაუნერგა ეს მოძღვრება კლასსობრივად გათვითცნობიერებულ გერმანიის პროლეტარიატს.

ფრანც მეჰრინგი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია, ომის წინანდელი გერმანიისა და სოციალისტური მოძრაობიი უგენიალესი პუბლიცისტი და ისტორიკოსი.

მარქსისა და ენგელსის დიადი ანდერძის მეოხებით სოციალისტების კანონის ხანაში პარტიას უნდა ეწარმოებინა შინაგანი ბრძოლები, წვრილბურჟუაზიული სიდამპლის წინააღმდეგ მიმართული.

იგივე ანდერძი ავალებდა მას მემარჯვენე მიმდინარეობისაგან გამოკერძებას, პარტიის რიგების გაწმენდას „რბილკანიანებისაგან“, რათა ამ რიგად პარტია თავისი დიადი რევოლიუციონური ამოცანების განხორციელებას შესდგომოდა.

ამგვარი გათიშვა პარტიის არალეგალობის ხანაში ტაქტიური მოსაზრების მიხედვითაც არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ მიუხედავად ამისა არც მარქსსა და არც ენგელსს ერთხელაც ეჭვი არ შეპარვიათ, რომ ლეგალურობის ბრძოლით მოპოვების შემდეგ პარტიის წინაშე უნდა აღმართულიყო მემარჯვენე, წვრილბურჟუაზიულ ფრთისაგან საბოლოოდ გამოთიშვის მიუცილებლობა. ცხადია ეს ანდერძი არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი. პარტიას თან შერჩა მემარჯვენე ფრთა და ეს შეიქმნა კიდევაც შორეული შინაგანი რღვევის საწყისი.

მერმე ის იყო ათეული წლების მანძილზე ნაბნევი რევიზიონისტული თესლი. 1914 წლის აგვისტოს 4-ს ამოვიდა და საქვეყნოდ გამოაშკარავდა კიდევაც სოციალდემოკრატიის სრული გაკოტრებაც.

პროლეტარული მოძრაობის მარქსისტული იდეებით გამსჭვალვის პირველ ეპოქასა და სოციალდემოკრატიული პარტიის სავსებით დანგრევას შორის მდებარე მანძილზე წარმოებდა ახალი პროცესი; პროცესი ახალი ჯგუფის წარმოშვებისა; ამ ჯგუფმა 1914 წლის 4 აგვისტოს სოციალდემოკრატების მიერ გაყიდული მარქსისტული დროშა ისევ აღმართა და დაარსა სპარტაკელების კავშირი, ხოლო ცოტა მოგვიანებით გერმანიის კომუნისტური პარტია შექმნა.

## ფოლმარი და ედუარდ ბერნშტაინი

როგორ წარმოებდა ეს პროცესი? ჩვენ ამ თავიდანვე ხელი უნდა ავიღოთ ამ განვითარების ყოველივე წვრილმანის თუნდა დაახლოებით აღნუსხვაზე; საკმარისია შევეხოთ ზოგიერთ, განსაკუთრებით დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებებს.

წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში თვალსაჩინო გახდა გერმანული იმპერიალიზმის ზრდა. ამავე ხანებში იწყება პირველი ტენდენციები მუშათა არისტოკრატიის ჩასახვისა. ხსენებულ მუშათა არისტოკრატიას წილი დაუდვეს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ზე-მოგებაში. ამ მოვლენამ გარყვნა იგი. ამ ხასიათის მოკლენებს მოჰყვა მუშათა მოძრაობის წიაღში ჩამოთესლებული წვრილბურჟუაზიული ელემენტების შეტევა პარტიის რევოლიუციონური ორიენტაციისა და მარქსისტული პრინციპების წინააღმდეგ. ყოველივე ამას შემდეგი ფაქტორიც თან დაერთო: რევიზიონისტულმა ტენდენციებმა ხელმეორედ გააძლიერეს მემარჯვენე ფრთა და გამოაცოცხლეს იგი. თუ წინად პოლიცია უწყალოდ სდევნიდა პარტიას და ბუნებრივად ხელს უწყობდა მის გაბოროტებას კლასიურ სახელმწიფოს და გაბატონებული კლასების მიმართ, ზემოდ ნახსენებ მდგომარეობის წყალობით პოლიციის რეპრესიები შემცირდა.



კ. ცეტკინი

პირველად ბრძოლა დაიწყო მიუნხენელ სოციალდემოკრატების ლიდერმა გეორგ ფონ ფოლმარმა. ფოლმარი ყოფილი ბავარიელი ოფიცერი იყო. მან თავი ისახელა თავისი ეგრედ წოდებულ „ელდორადო-სიტყვებით“. 1891 წლის ივნისსა და ივლისში ფოლმარმა რამოდენიმე სიტყვა წარმოსთქვა მიუნხენის „ელდორადო“-ში. ამ სიტყვებში ის მოითხოვდა სოციალდემოკრატიული ტაქტიკის შეცვლას, ახალი „რეალ-პოლიტიკის“ დაწყებას გაბატონებულ კლასებთან „მოლაპარაკების გამართვას“. ფოლმარის გამოსვლამ საგრძნობი წინააღმდეგობა გამოიწვია პარტიის რიგებში, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გზა გაკაფული მარქსიზმსა და რევიზიონიზმს შორის დაწყებულ ძირითადი უთანხმოების გამწვავებისათვის.



ფრ. მერინგი

ფოლმარის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო ედუარდ ბერნშტაინმა.

ბერნშტაინი თავის დროს ენგელსის ზეგავლენას განიცდიდა და პარტიის მარქსისტულ ფრთას ეკუთვნოდა.

ენგელსის სიკვდილის შემდეგ ბერნშტაინი მემარჯვენე ფრთის „მეცნიერი“ და თეორეტიკოსი გახდა. ჯერ „ნოიე ცაიტ“-ში გამოქვეყნებულ წერილებში, შემდეგ კი თავის წიგნში: „Die Voraussetzungen des Socialismus und die Autgaben der Socialdemoкratie“ *) მან განაცხადა, რომ სავსებით სწყვეტს კავშირს მარქსიზმის საფუძვლებთან და ემხრობა სოციალიზმში მშვიდობიანი შესვლის თეორიას. სოციალდემოკრატიამ უნდა უკუაგდოს კლასობრივი ბრძოლის „ფრაზეოლოგია“ და „დემოკრატიულ-სოციალისტური რეფორმისტული პარტიის“ პოლიტიკა უნდა აწარმოოსო,—სთქვა ბერნშტაინმა.

## ბებელის და კაუცკის პოზიცია დრეზდენის პარტიულ ყრილობამდის

პარტიაში რევიზიონიზმი ნელნელა გაბატონდა, ე. ი. გაძლიერდა მარქსისტული მოძღვრების „რევიზია“. ამის გამო დაიწყო დარაზმვა რევოლიუციონურმა ელემენტებმა, რომლებიც მარქსიზმის დაცვას შეუდგნენ. ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა ისევ ფრანც მეჰრინგმა იკისრა.

ჯერ კიდევ 1893 წელს „ნოიე ცაიტ“-ში მან დაარღვია ის აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს პარლამენტარული გზითა და სოციალდემოკრატიული უმრავლესობის შემწეობით სოციალისტური საზოგადოების მოწყობა.



ტელმანი

ამ თეორიას უწოდა მეჰრინგმა „ისეთი დანა, რომელსაც ტარიც აკლია და პირიც“. მას შეუერთდნენ როზა ლიუქსემბურგი (თავისი წერილებით: „სოციალური რეფორმები თუ რევოლიუცია?“, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნათ გამოვიდა ამავე სათაურით), კლარა ცეტკინი, პარვუს-ჰელპფანდი და სხვანი.

---

*) სოციალიზმის წინასწარი პირობები და სოციალდემოკრატიის ამოცანები.

1898 და 1899 წლების ორივე პარტიული ყრილობა (ჰანოვერსა და შტუტგარტში) ჩატარდა ბერნშტაინთან უთანხმოების ნიშან ქვეშ. ამ ხანებში პარტიული ცეკას ხელმძღვანელი ჯგუფი: კაუცკი, შოლნლანკი, ბებელი, ზინგერი ასე თუ ისე უჭოჭმანოდ იცავდა მარქსიზმს მოწინააღმდეგეთა თავდასხმისაგან. პირველი და მძიმე ცოდვა კაუცკიმ და ბებელმა ჩაიდინეს 1895 წელს. ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც მათ მიაყენეს მარქსიზმის რევოლიუციონური სულის განვითარების საქმეს.

მათ ჩაიდინეს სიყალბე იმ წინასიტყვაობის მიმართ, რომელიც ენგელსმა დასწერა მარქსის წიგნისთვის: „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“. ამ წინასიტყვაობაში მათ ზოგი რამ ამოშალეს, ზოგიც გადაასწორეს. ასეთი სახით გადამახინჯებული ენგელსის წინასიტყვაობა დაბეჭდეს და შემდეგ სარგებლობდნენ მით, როგორც ავტორიტეტული დოკუმენტით, პარტიის რევოლიუციონური ფრთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევიზიონიზმთან ბრძოლის ამ ეტაპზე შესამჩნევი შეიქნენ ბებელისა და კაუცკის ცენტრისტული პოლიტიკის ნიშნები. ეს პოლიტიკა, როგორც ვიცით, შემდეგ საკმაოდ საბედისწერო გახდა. უმნიშვნელო სხვაობაზე თუ არას ვიტყვით, ისინი არც ისე ძლიერ განსხვავდებოდნენ მეჰრინგის, ლიუქსემბურგის, ცეტკინის, ე. ი. გერმანიის კომპარტიის დამაარსებელთაგან შემდგარ მემარცხენე ფრთისაგან.

ეს პერიოდი გათავდა დრეზდენის პარტიულ ყრილობაზე 190 წელს; ამ ყრილობაზე ბებელმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა თავისი რევოლიუციონური სული და ბრძოლის ცეცხლი; ბებელი მოითხოვდა გაბურჟუებულ მემარჯვენე ელემენტებთან ანგარიშის გასწორებას.

ყოველივე ისე წარიმართა, თითქოს დრო მოვიდა მარქსისა და ენგელსის ანდერძის სისრულეში მოსაყვანად მემარჯვენე ფრთის პარტიიდან განდევნისა და მით პარტიის გაჯანსაღებისათვის.

ჯერ კიდევ 1898 წლის პარტიულ ყრილობაზე ჰანოვერში როზა ლიუქსემბურგმა წამოაყენა ედუარდ ბერნშტაინის პარტიიდან გამორიცხვის საკითხი. ყველას ეგონა, რომ 1903 წელს დრეზდენში პარტიიდან გამორიცხდნენ მემარჯვენეებს: ფოლმარს, აუერს, ვოლგანგ ჰაინეს, გოერეს, ბრაუნს და სხვებს.

მემარჯვენეებმა მდგომარეობას აღლო აუღეს და ფრიად მარჯვე და მიზანშეწონილი ტაქტიკა იხმარეს: ერთგვარი კაპიტულიაცია მოახდინეს, რათა პარტიაში დარჩენილიყვნენ და მისთვის ძირის გამოთხრა განეგრძოთ.

ამ ტაქტიკის შემწეობით შესძლეს ამ პირებმა თავიანთი გავლენის გაძლიერება პარტიაში, რაკი მან გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა და დასასრულ მათ მოშხამეს კიდევაც მთელი პარტია.

## რევიზიონიზმი, ცენტრიზმი და მემარცხენე ფრთა.

არ წამოჭრილა თითქმის არც ერთი საკითხი, რომელშიაც მემარჯვენეებს აქტიურობა არ გამოეჩინათ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლები წინააღმდეგობა ხვდებოდა მათ.

აიღეთ რომელიც გნებავთ საკითხი: მილიტარიზმის პრობლემა, გინდ კოლონიალური პოლიტიკა, ბიუჯეტის საკითხი, საბაჟო პოლიტიკა, ყოველგან მემარჯვენეები იმარჯვებდნენ. მათი საწადელი იყო: როგორმე დაუახლოებინათ სოციალდემოკრატია ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, ბურჟუაზიასთან, რევოლიუციონური პრინციპების სრული ლიკვიდაცია მოეწყოთ და მასების კლასობრივი შულლით აღტყინებული სული დაეშოშმინებინათ, ბურჟუაზიულ პარტიებთან და ვილჰელმის რეჟიმთან შეერიგებიათ მუშათა მასები.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ საკითხში გააფთრებულად ებრძოდა მემარცხენე ფრთა რეფორმისტულსა და სოციალ-პატრიოტულ შხამს, რომელმაც დამბლა დასცა გერმანულ მუშათა მოძრაობას და გაანადგურა იგი.

რაც უფრო მატულობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მემარჯვენეთა გავლენა გაძლიერებული გერმანული იმპერიალიზმისა და მუშათა არისტოკრატიის წყალობით (და ეს სოციალური ბაზისი ხელს უწყობდა მუშათა მოძრაობის გაუკულმართების საქმეს) მით უფრო შორდებოდა პარტიის ცეკა — კაუცკი, ბებელ, ჰააზე და სხ. ჯგუფი მარტიზმის ფრონტს და იკავებდა ეგრედწოდებულ ცენტრიზმის პოზიციას, შეთანხმებლობას. მათი მიზანი იყო მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შერიგება და ურთიერთთან შეგუება.

ეს პოლიტიკა, რასაკვირველია, შეეფერებოდა რევიზიონიზმს. ხოლო რევიზიონიზმი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აღიარებდა მარქსიზმის პრინციპებს, ბოლოს და ბოლოს პროლეტარული მოძრაობის უდიდესი მტერი და მესაფლავე შეიქმნა. ამიტომაც მემარცხენე ამხანაგები, ეგრედწოდებული მემარცხენე რადიკალები— ჩვენი პარტიის ისტორიის ამ პერიოდში არამც და არამც არ კმაყოფილდებოდნენ რევიზიონისტულ რენეგატებთან ბრძოლით. მათ ასეთივე შეურიგებელი ომი გამოუცხადეს ცენტრის „ჭაობს“ კაუცკისა და ბებელს, გერმანიის სოც. პარტიის დღევანდელ „მემარცხენე“ ბელადების წინაპრებს.

როგორც წარსულში ისე შემდეგაც ფრანც მეჰრინგი და როზა ლიუქსემბურგი იყვნენ მემარცხენე ფრთის იდეური ხელმძღვანელნი. მათ შეუერთდნენ: კლარა ცეტკინი, გერმანიის ქალთა მოძრაობის სულის ჩამდგმელი და შემკავშირებელი, ლეო იოგიხეს (ტიშკო), რომელიც, როგორც ლიდერი პოლონეთის სოციალდემოკრატიისა, ხანგრძლივი საერთო მუშაობით დაკავშირებული იყო როზასთან. როცა 1905 წელს რუსეთში რევოლიუციის ალი ავარდა, ორივენი: ლიუქსემბურგი და იოგიხესი პოლონეთს გაეშურნენ. აქ როზა საპყრობილეში ჩააგდეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ გერმანიაში გამოაძევეს. ამ მებრძოლებს შეუერთდა კარლ ლიბკნეხტი, რევოლიუციონური, პროლეტარული ახალგაზრდობის წარმომადგენელი და ანტიმილიტარისტული მოძრაობის მედროშე.

აქვე უნდა ვახსენოთ სხვაც ნაკლებად „ბრწყინვალე“ პირნიც, რომელნიც იმ ხანებში მემარცხენე რადიკალებს შორის თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ. ესენი გახლავთ: რუსი სოციალისტი—პარვუსი და ლენში. ორივენი „მოჭკვიანდნენ“ შემდეგ, ომის დროს და უსირცხვილოდ მიეკერძნენ სოციალ-პატრიოტიზმისა და სოციალიმპერიალიზმის უტიფარ ქურუმებს. პარვუსმა მილიონები იშოვა ომის დროს სავაჭრო და საკომისიო საქმეებში. ასეთ დაცემამდის, ასეთ გამდიდრებამდის იგი მარქსიზმის ერთერთ უბრწყინვალეს იდეოლოგად ითვლებოდა.

## გერმანელი მემარცხენე რადიკალები და რუსი ბოლშევიკები.

მსოფლიო ომის დაწყებამდის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ის ბრძოლა, რომელსაც მემარცხენე რადიკალები აწარმოებდნენ სოციალდემოკრატიულ პარტიაში, მართლაც გაჟღენთილი იყო მარქსიზმის ცოცხალი სულით; ისინი ზიზღით შესცქეროდნენ მუშათა მოძრაობის რეფორმიზმისა და სოციალპატრიოტიზმის თესლით წაბილწვასა და გაბურჟუაზებას. ამ ჯგუფის ბელადებმა დაარსეს სპარტაკის კავშირი და კომუნისტური პარტია. უნდა ითქვას, რომ ხსენებულმა ბელადებმა ვერ მოახერხეს ისეთი დიადი ისტორიული დამსახურება, როგორიც მიუძღვის ამავე პერიოდში რუსეთის სოციალდემოკრატიის მემარცხენე ფრთას—ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით.

ლენინმა არსებითად შეასრულა ის ანდერძი, რომელიც დაუტოვეს გერმანიის სოციალდემოკრატიას მარქსმა და ენგელსმა. ლენინმა და ბოლშევიკებმა მოახდინეს მემარჯვენე ფრთისაგან—მენშევიკებისაგან გამოთიშვა. ეს მოხდა რუსეთის სოციალდემოკრატიის ყრილობაზე ლონდონში.

ლენინმა მოახდინა ეს გათიშვა, რადგანაც მის წინაშე რევოლიუციის საკითხი წამოჭრილი იყო, როგორც მწვავე და კონკრეტული ამოცანა. მას უნდოდა ამ ამოცანისათვის მოემზადებია სოციალისტური პარტია. ლენინმა მარქსისტურად გაიგო პარტიის როლი. მას პარტია წარმოდგენილი ჰყავდა როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი რევოლიუციონური ბრძოლის დროს; პარტიას უნდა შეეკავშირებინა მასსები, პარტიას უნდა მოეხდინა რევოლიუციის ორგანიზაცია. სწორედ ამ საკითხებში ვერ გაერკვნენ გერმანელი მემარცხენე რადიკალები. მათ საკმაოდ ვერ შეაფასეს პარტია, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზატორი.

ისინი საერთოდ ნაკლებად აფასებდნენ ორგანიზაციული მუშაობის მნიშვნელობას, და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ მასსების სპონტანურ, თავისთავად მიმდინარე აქტიურობაზე.

ამ შემცდარ შეხედულებას უნდა მივაწეროთ მემარცხენე რადიკალების მთავარი შეცდომები. მათ ხელი აიღეს საკუთარი ძალების ორგანიზაციაზე. ისინი ისე ცოტას ფიქრობდნენ დამპალი სოციალდემოკრატიის ნაცვლად დამოუკიდებელი, წმინდა პრინციპიანი, რევოლიუციონური მებრძოლი პარტიის შექმნაზე, რომ მათ ისიც კი ვერ მოისაზრეს, რომ პირველი ნაბიჯი მაინც გადაედგათ და სოციალდემოკრატიის ფარგლებში მოეწყოთ საკუთარი მტკიცე ფრაქცია.

ომის წინა დროინდელი სოციალდემოკრატიის მემარცხენე ფრთის დიდი სისუსტე ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდა, რომ თვით ისეთი ჭეშმარიტად რევოლიუციონერი ბელადებისათვისაც კი, როგორიც იყვნენ მეჰრინგი, როზა, ლიბკნეხტი და სხვანი, რევოლიუციის საკითხი არასოდეს არ იდგა ისე კონკრეტულად, როგორიც იდგა ის ბოლშევიკებისათვის. პირიქით ისინი მას უყურებდნენ რამოდენიმედ როგორც მომავალის თეორეტიულ ამოცანას.

ამის შედეგი ასეთი იყო: როცა 1914 წლის 4 აგვისტოს და 1918 წლის 9 ნოემბერს სოციალდემოკრატია დაინგრა, პროლეტარიატს პირველ ხანებში წინამძღოლი არ აღმოაჩნდა. და ეს მოხდა იმ დიდი რევოლიუციონური მუშაობის მიუხედავად, რომელიც მიუძღოდათ ხსენებულ ხელმძღვანელებს

## პარტიის დამფუძნებელი ყრილობა.

მით უფრო მნიშვნელოვანი შეიქმნა გერმანიის პროლეტარიატისათვის გერმანიის კომუნისტური პარტიის — K. D. დაარსების დღე!

სპარტაკის კავშირის, ომის წინა დროის სოციალდემოკრატიის მემარცხენე რადიკალების ხსენებული ნაბიჯი სხვა რა იყო, თუ არა და ზურგის შექცევა იმ სიძაბუნისა და ჩამორჩენილობისადმი, რომლითაც ჯერ კიდევ დასნეულებული იყო ომამდი არსებულ სოციალდემოკრატიის მემარცხენე ფრთა. სპარტაკის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შეკავშირებას, შექმნას, რევოლიუციონურ მასსების პარტიად ქცევას, ორი წლის შემდეგ მხარს აძლევენ U. S. P.-ს (დამოუკიდებელი სოციალდემოკრატიული პარტიის) პროლეტარული მასსები, რომელნიც ჰალლეს პარტიულ ყრილობაზე სავსებით გაეთიშნენ U. S. P.-ს ცენტრისტულ ლიდერებს. იმავე ყრილობაზე დაადგინეს ამ მასსებმა სპარტაკელებთან ერთად გერმანიის კომპარტია შეედგინათ. 1918 წლის დამფუძნებელი პარტიული ყრილობის ამგვარი ნაბიჯი ყოფილი მემარცხენე რადიკალების ხანგრძლივი მუშაობის დაგვირგვინებას მოასწავებდა.

ამგვარად დამთავრდა ის დიდი მუშაობა, რომელიც გაწეული ჰქონდათ ჩვენი პარტიის დამფუძნებლებს: ფრანც მეჰრინგს, როზა ლიუქსემბურგს, კარლ ლიბკნეხტს და ლეო იოგიხესს. ამისთვის ილვწოდენ და იბრძოდნენ ისინი ათეული წლების განმავლობაში.

**ვერნერ ჰირშ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა კატასტროფების წინააღმდეგ

პროფ. დ. უზნაძე

იშვიათი შემთხვევაა გაზეთი წაიკითხო და შიგ ცნობები არ ნახო მიმოსვლასთან დაკავშირებით უბედურ შემთხვევების შესახებ: აქ ავტომობილი დაეჯახა ტრამვაის ვაგონს, იქ მოხუც ქალს ან ბავშვს, და ამის ბუნებრივი შედეგი, რასაკვირველია, არის დასახიჩრება და ზოგჯერ, არც ისე იშვიათად, სიკვდილი. 1928 წლის იანვრიდან სექტემბრამდე თბილისში აღრიცხულია სულ 62 ასეთი შემთხვევა. გასაგებია, რომ ყველა გრძნობს სასწრაფო და რადიკალურ ზომების მიღების საჭიროებას. ამ რამოდენიმე ხნის წინად სპეციალური თათბირიც კი იყო ამ საკითხზე მოწყობილი. შემუშავებული იქნა სათანადო ზომები, ბევრი მათგანი ცხოვრებაშია გატარებული. მერე შედეგი? სამწუხაროდ უბედურ შემთხვევათა რიცხვი მას შემდეგ არა თუ არ შემცირდა, არამედ, სრულიად უდავოთ, კიდევ უფრო გაიზარდა.

ცხადია, მიღებული ზომები მიზანშეწონილი არ აღმოჩნდა. ცხადია, უბედურ შემთხვევათა მიზეზი სწორად ვერ იქნა მონახული, და რა გასაკვირველია, თუ ზომებიც უნაყოფო გამოდგა.

მართლაც და რას სთვლიდნენ და დღესაც სთვლიან უბედურ შემთხვევათა მიზეზად? 1) მიმოსვლის უწესრიგობას, 2) შოფერების და ვატმანების მხრივ მიმოსვლის წესების უცოდინარობას; 3) მათ ტეხნიკურ მოუმზადებლობას, და ამის და მიხედვით უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად საჭიროთ სთვლიდნენ ასეთი ზომების მიღებას: 1) მოძრაობის რეგულიაცია მილიციის დახმარებით, 2) შოფერებისაგან სათანადო ტეხნიკურ ცოდნისა და მოძრაობის წესების შესწავლის მოთხოვნა.

ეჭვი არ არის, რომ მოძრაობის მოუწესრიგებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს; უეჭველია ისიც, რომ თუ შოფერმა არც ის იცის, თუ რა წესებია მოძრაობის რეგულიაციისათვის შემოღებული, და არც ის, თუ როგორ უნდა მართოს თავისი მანქანა, იგი შეიძლება უბედური შემთხვევის მიზეზად იქცეს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ყველაფერ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

დღეს არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას ის გარემოება, რომ შეიძლება კაცმა მშვენივრად იცოდეს მოძრაობის რეგულიაციისთვის შემოღებული ყველა წესები, კიდევ



სამი მომენტი ვატმანების გამოცდიდან.

1) 8 ვატმანი ერთდროულად სწავლობს ტრამვაის ვაგონის მართვას, 2) ვატმანის წინ ლიანდაგის სურათია. ხაზზე ინთება სხვადასხვა ფერის ელექტრო-ლამპები, 3) ვატმანის ახლო მოულოდნელად ჩნდება ცეცხლი და ისმის ძლიერ ხმაურობა.

უკეთ—ტეხნიკა მანქანის მართვისა, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც საჭიროა სანიმუშო შოფერისათვის, მაგრამ შოფერად მაინც არვარგოდეს. საქმე ცოდნა კი არ არის, არამედ ამ ცოდნის თავის დროზე შესაფერად გამოყენების უნარი. ვინ არ იცის, რომ განსაკუთრებით შოფერისა და ვატმანის წარმატებით მუშაობისათვის ყურადღებისა და მოძრაობის უნარის ისეთი თვისებებია საჭირო, რომელიც ყოველ ადამიანს ერთნაირი არა აქვს და არცაა საჭირო ჰქონდეს: არაა საჭირო იმიტომ, რომ სხვა პროფესიისათვის სხვაგვარი ყურადღება და მოძრაობის უნარია აუცილებელი. ამიტომაა, რომ ზოგი ერთ საქმეში იჩენს განსაკუთრებით დიდ წარმატებას და ზოგი—მეორეში. ამიტომაა, რომ მიუხედავად ქუჩაზე მოძრაობის პირობების ერთგვარობისა, ზოგი შოფერი ან ვატმანი არასოდეს არაფერს და არავის ეჯახება, და ზოგს კიდევ ეს უბედურება ხშირად ემართება.

საზოგადოთ დიდი უბედურებაა, როდესაც ადამიანი ისეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, რომლის შესაფერი ძალებიც მას არ გააჩნია; ხოლო როდესაც ამ გარემოებას შედეგად სხვისი დასახიჩრება და ხშირად სიკვდილის შემთხვევებიც სდევს ხოლმე თან, მაშინ ეს არა მარტო უბედურებაა, არამედ დიდი დანაშაულიც.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის გახშირებული კატასტროფების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი შეიძლება სწორედ ჩვენი შოფერებისა და ვატმანების შეუფერებლობა იყოს. ამ შემთხვევაში, ცხადია, რომ ვერავითარი ზომები ვერ მოსპობდა და ვერც საგრძნობლად შეამცირებდა უბედურ შემთხვევათა რიცხვს თბილისის ქუჩებზე, სანამ ზომები არ იქნებოდა მიღებული ჩვენი შოფერებისა და ვატმანების შესამოწმებლად იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად აქვთ განვითარებული მათ ის ფსიქოლოგიური თვისებები, რომელიც მათი პროფესიისათვისაა საჭირო.

ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ცალკე დარგი წარმოიშვა მეცნიერებისა, რომელიც ასეთ საკითხებს იკვლევს და რომელიც ფსიქოტეხნიკის სახელწოდებითაა ცნობილი. იშვიათია ეხლა ისეთი კულტურული ქვეყანა, რომ ისეთ საპასუხისმგებლო პროფესიებზე, როგორიც არის მიმოსვლის პროფესიები, ფსიქოტეხნიკური შემოწმების გარეშე ღებულობდნენ ვისმე. და გასაოცარია, რომ როდესაც ჩვენში კატასტროფების საწინააღმდეგო ზომებზე ლაპარაკობენ, უეჭველად ძლიერ მნიშვნელოვან ზომას — ფსიქოტეხნიკურ შემოწმებას სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესახებ არაფერი გაქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუღალავი მოგზაური

## ლევ. მეტრეველი

ჩემ წინ დადგა: მიწის სიმძიმით დატვირთული და ცის სილამაზით ფრთებ შესხმული ადამიანი—

**პანაიტ ისტრატი.**

არა ვცდილვარ იმის გაცნობას. ეს მოხდა ჩვენდა უნებურად.

რა ჩქარა დავახლოვდით!

მომწონს მისი ბუნებრივი სადაობა. მისი სახელი მოულოდნელი გრიგალივით ამოვარდა ეშხ-მობლაგვებულ ევროპაში. ჩვიდმეტ ენაზე იკითხება მისი ფიქრითა და გრძნობით ნადაღი შემოქმედება. მეთვრამეტე იქნება—ქართული ენა.

პანაიტ ისტრატის ეს მიაჩნია გაგრძელებათ—თავისი დაწყებული მოგზაურობისა ცხოვრებაში: ეს სრულებითაც არ არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი გემიდან მეორე გემზე გადასვლა, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხეტიალი ან პირამიდების პანორამის გადანაცვლება თუნდაც ჩვენი ალაზნის ველზე.

მას თავის სახელზე უფრო მეტად უკვირს სულ უბრალო რამ: აი თუნდაც—

— ორიანტის სასტუმრო—ეს ხომ საუკეთესოდ ითვლება თბილისში, არა? სახელმწიფო კუთვნილებასაც შეადგენს, ხომ? და მაკვირვებს მისი გამგის დაუდევრობა. მაგალითად: ჩემი ოთახის ფარდას ერთი ძაფი ჰქონდა გაწყვეტილი. ალბათ ჩემამდისაც დიდხანს იყო ასე. ამ ერთი ძაფის გამო ფარდა ველარ იწეოდა წესზე და მდგმური ეტყობა ძალდაძალ გასწევდა ხოლმე, რის გამოც ეს მშვენიერი ფარდა იგლიჯებოდა ასე დაუდევრათ. გამგეს ერთხელაც არ მოუვა აზრად—შეიხედოს ყველა ოთახებში და ნახოს, სად რა აკლია. ასეთი უმნიშვნელო რამით მეც გაბრაზებული ვიყავი. ბოლოს ავდექი, მე თვითონ შევაბი ბაწარი და ფარდა ისევ წესიერად იხმარება. გამგის ასეთი დაუდევრობა კი მაოცებს სწორედ. ასეთი „ჩინოვნიკები“ კი, დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტ დავას აცხადებენ ცხოვრების სიკეთეზე.

და პანაიტ ისტრატი მიამბობს კიდევ დაკვირვებითა და გამოცდილებით შემჩნეულ ცხოვრების სხვა წვრილმანებს. ყველა ეს წვრილმანი პირველი შეხედვით თითქოს უმნიშვ-



**პანაიტ ისტრატი**

ნელოა, მაგრამ ნამდვილათ კი მეტად გამაბეზრებელია და შემაწუხებელი ადამიანისთვის. ზოგჯერ თუ ამ წვრილმანს ყურადღება არ მიაქციე თავის დროზე—ის დიდ ნივთიერ ზარალსაც იწვევს.

— ლუნაჩარსკი მეკითხებოდა: რატომ არ შემოხვალ პარტიაში? თუ ოდესმე შევალ პარტიაში—მხოლოდ ერთის პირობით: მამუშაონ სწორედ იმ წვრილმან საქმეებზე, რასაც ყველა გვერდს უხვევს და ყველა თაკილობს მათ შესრულებას.

დიად! დიდი მოვლენები კი არ აკვირვებს პანაიტს, არამედ წვრილმანების შეუმჩნევლობა.

* *
*

შეითან-ბაზარში. თათრის უბრალო საჩაიეში.

საათი გადის წუთის სისწრაფით—უგულითადეს საუბარში. და პანაიტ ისტრატი ჩამოიკვეთა ჩემ წინ იმ უკიდურეს წინააღმდეგობათა რაინდათ, რაც ახასიათებს მძლავრ შემოქმედსა და ადამიანს—სხვისგან გარჩეულს.

ერთ და იმავე დროს განწირულად მარტოა იგი თავის პირად ცხოვრებაში. მაგრამ იმავე დროს განუყრელი წევრია იმ საკაცობრიო ოჯახისა, სადაც ტვირთმძიმენი, გაჭირვებულნი, სიმართლისათვის თავდადებულნი, უმკვიდრეს დედაბოძათ უდგანან ამ ცხოვრების განიერ თაღებს.

ის დაუნდობარი მემობელია ყოველი არაქნია, თვალთმაქცი, გულზვიადი და ბოროტი ადამიანის. მაგრამ უსაზღვროთ ლმობიერია და მოსარჩლე ყოველი დაჩაგრულის, დევნილის, გულმართალის და გამრჯელისა.

ის მეტად თავმომწონე და ამაყია დიდებთან. მოკრძალებული და თავისიანია— სადა, ჩვეულებრივ ხალხთან.

კოსმიური მოვლენები, საკაცობრიო გარდატეხანი, სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებანი ისევე აღელვებს მას, როგორც სასტუმროს ოთახში მოვლენილი ბაღლინჯო.

ზაჰესის გიგანტიური ნამუშევრებით ისევეა აღტაცებული, როგორც ამ სრულიად უბრალო საჩაიეთი.

*
* *

ჩვენ აღარა ვართ შემკითხავი და მოპასუხე. ჩვენ უკვე ვართ ჩვეულებრივი გულითადი მობაასენი, რომლებიც მთელი სიცოცხლე ეძებდნენ ერთმანეთს და ძლივს შეხვდნენ კიდეც თავიანთ ცხოვრების შუადღის შემდეგ.

მე მიყვარს ადამიანი, რომელიც თავის სიმდიდრეს ჰკრეფავს დედამიწის ზურგზე ხეტიალში, გაჭირვებაში, ათასგვარ მოულოდნელობაში. დაკვირვებითა და გამოცდილებით დატვირთული ადამიანი, მრავალ ბრძოლაში გამარჯვებულ გმირათ წარმომიდგება ან უტყუარ ბრძენად. მხოლოდ ასეთი ადამიანი მეჩვენება ნამდვილ მოქალაქედ, ნამდვილ მებრძოლად ამ ცხოვრების გაშლილ არეზე თუ გარდაუვალ მთაგრეხილზე. მწიგნობარი კაცი იშვიათად იწვევს მიბაძვას. დაკვირვებული და გამოცდილი კაცი კი თითქმის ცეცხლითა და მახვილით იჭრება შენს არსებაში. მისგან სწავლობ, მაგალითს იღებ. ყოველი მისი სიტყვა თითქოს გულის ამონაჰერია ცხოვრების სინამდვილიდან.

რამდენი დაკვირვებით არის აღჭურვილი ეს პანაიტიც!

მატარებელში მჯდომი მგზავრისთვის ხომ მოულოდნელად იცვლება სანახაობა არემარისა—მარჯვნივ თუ მარცხნივ! ასეთივე ნახტომებით იცვლება ჩვენი საუბრის მასალა. ცხადია,

---

დეს გაგონილი. ნამდვილად კი ფსიქოტექნიკა არც ისე უცხოა ჩვენთვის. ამ ერთი წლის წინეთ ტფილისის ტრამვაის ვატმანების ფსიქოტექნიკური გამოცდები დაიწყო. როგორც ჩანს, მაშინ ამ საქმის უდიდესი სოციალური მნიშვნელობა გათვალისწინებული ჰქონდათ, მაგრამ დღეს ეს საქმე რატომღაც შეჩერებულია. მაშინ 200 ძველი ვატმანი გამოიცადა. გამოცდები, თამამად შეიძლება ვსთქვა, ძლიერ დიდი წარმატებით დასრულდა: ფსიქოტექნიკური შემოწმებისა და პრაქტიკაში დაკვირვების შედეგები ზედმიწევნით ურთიერთს ეთანხმებოდნენ. გარდა ამისა შემოწმებული ვატმანების თვალყურის დევნებამ კიდევ უფრო ბრწყინვალედ გაამართლა ფსიქოტექნიკური გამოცდების სისწორე. ასეთ პირობებში ამ გამოცდების შეწყვეტა, კვლავ ძველ მდგომარეობისაკენ დაბრუნება სრულიად გაუგებარია და ჩვენი დროისა და პირობებისათვის შეუფერებელი.

კიდევ უფრო მტკივნეულად სდგას შოფერების ფსიქოტექნიკური შემოწმების საკითხი. ჩვენი დროისათვის სრულიად უდავოა, რომ ფსიქოტექნიკური გამოცდების შემოღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ღონისძიებათაგანია, და როდესაც დღეს საკითხი კატასტროფების წინააღმდეგ ზომების შესახებ ასე მტკივნეულად სდგას, სრულიად უდავოა, რომ ფსიქოტექნიკური გამოცდების მოწყობაზე ზრუნვა პირველ რიგში გვმართებს.

პროფ. დ. უზნაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ავსცილდებოდით პოლიტიკურ ოკეანეში შეტოპვასაც.

— ბურჟუაზიული ევროპიდან არაფერ სიკეთეს არ უნდა ელოდეს კაცობრიობა. მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეუძლია გადაახალისოს მთელი ქვეყანა ახალ კულტურულ და სოციალურ ნიადაგზე. თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდა, მაშინ დიდი, დიდი ხნით მაინც დასამარდება რევოლიუციის საქმე მსოფლიოში და გამეფდება უსასტიკესი რეაქცია, სადაც ჩაიღრჩობა ყოველგვარი იმედები მშრომელი კაცობრიობისა. საბჭოთა კავშირიდან ამოდის მზე უდიდესი მომავალისა. მე ვხედავ მდევურ შებრძოლებათ მიწაზე, ფაბრიკაში, ოჯახში, ადამიანის სულში, მთელ მსოფლიოში: ეს არის გამარჯვებითი სვლა საბჭოთა ხელისუფლებისა. მაგრამ მე ვხედავ იმასაც, თუ მრავალი ქვემძრომელა, ღორმუცელა, ვერაგი და პატივმოყვარენი როგორ აფერხებენ ამ ბრძოლას და სახელს უტეხავენ საბჭოთა სისტემას. უკვე ერთი წელიწადია საბჭოთა კავშირში ვიმყოფები. მე გადაწყვეტილი მაქვს ვრცლად ავწერო, რასაც დავკვირვებივარ და გავცნობივარ. ჩემი მასალები იბეჭდება ბურჟუაზიულ გამოცემებში. რომ ავსწერო საბჭოთა მუშაობის მხოლოდ კარგი მხარე—ეს იქნება ცალმხრიობა. ავსწერო უარყოფითი მხარეც და—ეს იქნება ყველაზე ხელსაყრელი რამ ბურჟუაზიისთვის. სწორედ ამიტომ უფრო ვერ მომინელებია ასეთი აფუსფუსება მფლანგველების და ვერაგების. ასეთი გიგანტური რევოლიუციის დალმახნულს ეს მავნებლები ალმა ფარცხავენ. იმ დროს, როცა ნამდვილი მებრძოლნი თავიანთი გამეტებით თავიანთი სულისკვეთებით რადიოს ტალღებივით ევლებიან გარშემო მთელ ქვეყნიერებას, ეს ბოროტი მუსუსები წურბელასავით ჩასჭიდებიან საბჭოთა სხეულს და სწუწნიან დიდ ბრძოლებში დასაღვრელ სისხლს—თავიანთი კუჭის გასაძღომად. ვერ გამიგია, ხელისუფლება რატომ უფრო მეტის დაუნდობრობით არ ეპყრობა მათ! ეს ქვემძრომელნი ხომ უფრო უარესები არიან, ვიდრე აშკარა პოლიტიკური კონტრ-რევოლიუციონერები! არ ვიცი სწორედ როგორ მოვიქცე. ასეთ ნაკლულევანებათა დაჩქმალვა არ შეიძლება. ხმამაღლა აღიარება კიდევ ბოროტად იქნება გამოყენებული და გაზვიადებული მტრების მიერ.

* * *

უცხოელი კაცი, შავი სათვალეებით და ფოტოაპარატით მხარზე—უეჭველად ახალ ამბავს წარმოადგენს თელავის დაღონებულ ქუჩებში. მეტადრე თუ სურათის გადაღებაც მოისურვა შუაგულ ქალაქში, სადაც გამოფენილია: ვარიები, ლობიო, ნორჩზედ ნორჩი მწვანილი, ჩურჩხელები, გოგრები, შავგვრემანი შოთები... ამ დოვლათის გვერდით კი ორპირად ჩამწკრივებულან უპატენტო კომერსანტები და უკვე ცხოვრების გაღმა გასული მანდილოსნები. მათ შავ კაბების გვერდით თვალდასაყენებელი სიწითლით ლაჟლაჟებს აქაური თვის ბოლოკი. ნურავინ დაიფიცებს, რომ ბოლოკის სილამაზე ალტაცებაში ვერ მოიყვანს, თუ თელავი არ უნახავს თავისი დილის ბაზრობით.

პანაიტი გულგრილათ ვერ უცქერის ამ სავაჭრო ნიადაგზე გამოფენილ იდილიურ სურათს. ის მაშინათვე იმარჯვებს აპარატს.

ქალებს ავიწყდებათ გაყიდვა, მუშტრებს—ყიდვა. ყველა აპარატს მისჩერებია. პანაიტს აღარ უნდა ხალხის დარიგება. ყველაფერი თავისთავად კეთდება.

ორ წუთში სურათი გადაღებულია. პანაიტი კმაყოფილია:

ხანდახან ესეც კარგია პრაქტიკისათვის, რომ არ დამავიწყდეს ძველი ხელობა. ვინ იცის კაცის ბედი! ეგებ კიდევ დამჭირდეს ოდესმე ამ ხელობით ცხოვრება (ფოტოგრაფობა—ეს უკანასკნელი ხელობაა პანაიტისა, სანამ მწერლათ მოევლინებოდა ქვეყნიერობას).

* * *

ვნახეთ აბრეშუმის სართავი ფაბრიკა.

ალბათ გული სტკივა პანაიტს, როდ მრავალ ხელობათა შორის თავის ცხოვრებაში—ეს მეაბრეშუმეობა როგორღა გამორჩა!

მაგრამ ეს მეტად „ქალური“ საქმეა და ამ ქვეყნის მყუდროებიდან აწყვეტილი ვაჟკაცი როგორ მოისვენებდა ასეთ უწყინარ სამუშაოზე!

ავედით ძაფსახვევ განყოფილებაში. თეთრი და ყვითელი აბრეშუმის ხვეულები ქალის ახლად დავარცხნილ ნაწნავებს მოგვაგონებენ.

პანაიტი აქაც ხსნის აპარატს. აბრეშუმის ყაჭი ეგებ ყველგან ერთნაირია, მაგრამ მათი დამრთავები კი სხვადასხვა უნდა იყვნენ. სწორედ ამიტომ ეინტერესება ჩვენს სტუმარს აქაური სურათი. ყველაზე მეტად გააწვალა ერთმა პირმარილიანმა გოგონამ. მაგრამ თავისი გადაჭარბებული პრანჭვა-გრეხით სურათსაც დაუკარგა ფასი და თავის თავსაც.

გაიმართა საუბარი: კითხვა და პასუხი. აბრეშუმივით აქ დართული ძაფი საუბრისა ვინ იცის შემდეგ სად დაიშლება. ერთს კი ვხედავ, რომ ეს გორგლათ ეხვევა პანაიტის გულს.

* * *

შუამთისკენ მივემგზავრებით.

ერთი საათის სავალი—საუბარში სულ შეუმჩნევლად გადიქცა.

რამდენჯერ მინახავს აქაურობა და ისევ პირველნახულივით ვათვალიერებ.

იშვიათი მდებარეობა. იშვიათი ძეგლი. იშვიათი ისტორიით.

წინედ ეს იყო მონასტერი. ეხლა აქ დასასვენებელი სახლია.

ვინმე მხატვარი ქალი საუკუნოებში ჩაძირულ ფრესკას ეპოტინება, რომ ახლად გაცოცხლებული გადააგზავნოს ლენინგრადის მუზეუმებში.

გარდა სიყვარულისა გახუნებულ ფრესკებისადმი ამ ქალს საკმაო ცოდნაც აღმოაჩნდა ფრანგული ენის. პანაიტისთვის ეს ერთგვარი გახალისებაა. კარგა ხანს საუბრობენ მწვანე მოლზე. მე კი დავდივარ და ვკითხულობ მიწის წარხოცისაგან გადარჩენილ უავტორო წარწერებს.

საგანგებოდ იზიდავს ჩემს ყურადღებას კედელში ჩაჭედილი ძეგლი ლადო მესხიშვილის დედისა.

დავბრუნდით. გზაზე პანაიტს ვუამბე ერთი აქაური ოჯახის გაჭირვება.

თვითონ ის ხომ ათას ჭირში გამვლილი კაცია, რომელსაც არც ერთი მათგანი არ ავიწყდება თავისი დალხინების დღეებში.

**ლევ. მეტრეველი.**

## სადღეისო

ო, არა მისთვის
შევხარი ამ ზაფხულის ღამეს,
და წყნარ ქუჩებით
მივიჩქარი გულის რჩეულთან,
რომ ყველას მიმართ,
შერიგების სურვილი მაქვს მე
და ფეხნი ჩემნი ბარიკადებს გადაჩვეულა.

არა და არა!
ჩემი მხარე, ჩვენი ქვეყნები,
დღეს უზარმაზარ
შრომის ყდაში ჩაუკანიათ;
ჩვენ გვიყვარს შრომა და ნამი ჩვენი ხელები,
სახლების თავზე და მინდვრებზე გაგვიტანია.

ჩემი სიმღერაც
მისთვის არის შეუწყვეტელი,
და ოცდასამი წელი ჩემში
მისთვის გრიალებს,
რომ ჩვენის ჯაფით ანაგები ერთი კედელიც
მე ველურივით,
ალტაცებით დამატრიალებს.

ჩვენ ვიცით მტრობაც,
სიძულვილი ჩვენში ბევრია
და ჟანგს არ მივსცემთ დასაკბენათ
ჩვენსა იარაღს;
არსენალივით ეს ქვეყნები აფეთქდებიან
თუ ჩვენს შრომისკენ მტრის ქუსლებმა გადმოიარა.

**კ. ლორთქიფანიძე.**

# გიორგი წერეთლის „დატყვევებული“ რომანი „გულქან“

## (მისი გასული წლის „მნათობში“ დაბეჭდვის გამო)

ვ. ხ—ძე

დიდი ხანია მოვიშორეთ მეფე და მისი მთავრობა; ის დრო კოშმარებიან სიზმარივით მოსაგონია. დღეს ახალ ვითარებაში ვართ, ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული. მაგრამ წარსულის საშინელებანი ჯერ კიდევ აჩრდილივით გვდევენ. თვითმპყრობელური ბიუროკრატიის წნევა ისე საშინელი იყო ყველა ხალხის და კერძოთ ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრებისა და სულიერი კულტურისათვის, რომ დღესაც კი ვხედავთ მის განმანადგურებელ შედეგებს.

ერთ ასეთ დიდ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ცნობილი მწერლის და მოღვაწის გიორგი წერეთლის ერთი რომანის ტრაღიკული ისტორია. ამ რომანის სახელწოდება არის „გულქან“. იგი ტყვედ ჰყავდა მეფის მთავრობას თითქმის მეოთხედი საუკუნე და მხოლოდ თებერვლის დიდმა რევოლიუციამ გაანთავისუფლა საცენზურო კომიტეტის ბნელ ჯურღმულებიდან.

ეს ამბავი ასე მოხდა: 1896 წლის ჟურნალ „კვალის“ № 6 გამოცხადებული იყო, რომ წლიურ ხელისმომწერლებს „დაურიგდებათ ახალი რომანი გიორგი წერეთლისა „გულქან“. რომანი შესდგება სამი ნაწილისაგან“. მკითხველი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა „პირველი ნაბიჯის“ ავტორის ნაწარმოებს და რედაქციაც მოწადინებული იყო ეს სურვილი დაეკმაყოფილებია. იმავე წლის მაისის 17 დასახელებული ნაწარმოები კიდეც შედის საცენზურო კომიტეტში, რათა მეორეთ იშვას ერთხელ შობილი. გადის ერთი თვე, მეორე.... ამაოდ ელის პირველი მშობელი—გიორგი წერეთელი, მეორე „მშობლის“—ბიუროკრატიის ფეხმძიმობიდან განთავისუფლებას....

გადის კიდევ თვე და უზენაესი მშობელი, რომლის იურიდიულ დადასტურებამდე თვით ბუნების მოვლენაც კი უკანონოდ იყო გამოცხადებული, ადგენს: „По журналу цензурнаго комитета 14 августа 1896 г. определяю: в виду тенденциознаго содержания настоящей рукописи под заглавием „Гулкани“, напечатание таковой запретить и удержать при делах комитета. Председатель комитета М. Гакер, Секретарь Н. Мелик-Нукбаров“.

ეს რომანი ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში დასწერა ავტორმა. 1868 წლის „დროების“ № 41, 42, 43 და 44 ნაწილობრივ კიდეც დაიბეჭდა „გვრიტის“ სათაურით. მაგრამ ამის მეტის დაბეჭდვა მართველმა ცენზურამ არ ინება და ხელთნაწერი მთელი 28 წლის განმავლობაში 1868-დან 1896 წლამდე მზის სინათლეს ელის. არც 28 წლის შემდეგ მოლბა მეფის ცენზორის გული და როგორც ვნახეთ 1896 წელშიც რომანს აკრძალავენ.

გულდამწვარი ავტორი მოწადინებულია რამენაირად გზა გაუკაფოს თავის ნაწერს: სამი წლის შემდეგ „გულქანს“ „პირიმზეს“ უწოდებს და 1899 წლის „კვალის“ ნომერში კიდეც ახერხებს მის ნაწილ-ნაწილ ბეჭდვას. დაიბეჭდა რომანი თორმეტი თავი. ნაწარმოები მოსწონს საზოგადოებას, მის შესახებ ალაპარაკდნენ ლიტერატორები. ეს ამბავი ენატანიების და ამავე ტიპის ლაქიების მეოხებით კერძო ლაპარაკის სახით, ან კიდევ ნაწარმოების გამო აღფრთოვანების გამოთქმით (რასაკვირველია ერთგვარის მოსაზრებით) საცენზურო კომიტეტის ყურამდეც აღწევს. ცენზორი, რომელსაც, ეტყობა, გულდასმით ჰქონდა „გულქან“ წაკითხული, მალე მოიგონებს სამი წლის უკანდელ თავის განაჩენს და „პირიმზესაც“ გულქანის ბედი ეწვევა, მასაც აკრძალავენ.

ამ გარემოებათა გამო გულგატეხილი ავტორი იძულებულია ხელი აიღოს რომანის ბედზე და რომანის მესამე ნაწილს დაუსრულებელს და დაუმუშავებელს სტოვებს. 1900 წელს გიორგი წერეთელი გარდაიცვალა და თავის ტყვექმნილ ნაწარმოებზე მზრუნველობა ახლობელთ უანდერძა.

კულტუროსან ხალხის ცხოვრების პირობებში ასეთი ბედის ხელნაწერის შესახებ უპირველეს ყოვლისა მწერალთა წრე ან საზოგადოება იზრუნებდა. მაგრამ ჩვენში, სადაც „მაღალი საზოგადოება“ ყველაფერს პირადობით ზომავდა, „გულქანზე“ ზრუნვა განსვენებულის ახლობელ ადამიანს, მწერალს ანასტასია მიხეილის ასულს (სამოციან წლების ნიჭიერ ფელეტონისტის „მოლაყბის“ ქალის) თუმანიშვილ-წერეთლისას უნდა ეკისრა. მთელი 17 წელიწადი ის დარაჯად უდგა საცენზურო კომიტეტს და მანამ ვერ შესძლო თავის ქმრის ნაწარმოების გამოხსნა, სანამ მეფის რეჟიმი არ დაემხო. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის დატრიალებისთანავე მოხუცი ადამიანი ჩიტივით მიფრინავს საშინელ საპყრობილესაკენ, თავისი ხელით ამტვრევს საცენზურო კომიტეტის განჯინებს და 21 წლის ტყვეს ცის სინათლეს აჩვენებს.

მართალია, რომანის მესამე ნაწილი დაუსრულებელი და დაუმუშავებელია, მაგრამ ორი მისი ნაწილი სრულიად დასრულებულ და მხატვრულ შთაბეჭდილებას ჰქმნის და, ჩვენის გაგებით, ავტორის ცნობილ „პირველი ნაბიჯზე“ მაღლაც კი სდგას.

რომანის პირველ ნაწილში დასურათებულია ბატონყმობა და მისი გადავარდნა, მეორე და მესამე ეხება დაახლოებით სამოცდაათიან წლებს და საერთოდ იმ ხანას, როდესაც ქართველი თავად-აზნაურობა და მისი მოჭირისუფლე ინტელიგენცია ბანკების დაარსებით ფიქრობდა ქვეყნის აშენებას. სამოქმედო ფონი ქუთაისი და საერთოდ დასავლეთ საქართველოა, დახასიათებულია თავად-აზნაურობა და მისი წრიდან გამოსული ინტელიგენცია—სამოციან წლების რუსეთუმეები და თერგდალეულები. თავადობას და მათ მეურნეობას უპირდაპირდება გამდიდრებული ნაყმევი, რომელიც ისე გამდიდრდება, რომ თავისი ბატონის—თავად რევაზ ბაკურიძის მთელ ქონებას ჩაიგდებს ხელში. ნაყმევის გამდიდრების პროცესი სწარმოებს როგორც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, ისე ბატონყმურ პირობებშიც. რომანში ნაჩვენებია აგრეთვე ის ანტაგონიზმი, რომელიც არსებობდა მსხვილცენზიან თავადებსა და წვრილფეხა აზნაურებს შორის. საუცხოვოთაა დახასიათებული ძველი თავადის—რევაზ ბაკურიძის ყოფა-ცხოვრება ბატონყმობის დროს და შემდეგ. კარგადაა ასახული აგრეთვე მმართველი წრეების ზნე-ჩვეულება და საქმიანობა, მშვენიერადაა გადმოშლილი ძველი ფუქსავატური ქალთა სასკოლო აღზრდის მიზნები და საშუალებები. გულქანი—ბაკურიძის ქალი ამ აღზრდას მიიღებს და ბოლოს მისგან ჩამოყალიბდება საზოგადოებაში მიღებული ქალის ტიპი, რომელიც თავადობასა და მთავრობას შორის შემაერთებელი ხიდის როლს ასრულებს, არ თაკილობს ჯაშუშობასაც კი, ენატანიობას რუსეთუმეებზე და თერგდალეულებზე გუბერნატორებთან და თანაც მარდად ცურვას სწავლობს „მაღალი საზოგადოების“ მიერ დაკანონებულ „სიყვარულის“ წუმპეში. გულქანი ბევრ რამეში ჰგავს „პირველი ნაბიჯის“ გმირს ვალიდას; უნდა ითქვას, რომ თვითონ გულქანი არაა ისე საინტერესო ტიპი, როგორც რომანის სხვა პერსონაჟები.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ პატარა წერილში შეუძლებელია საკმაო წარმოდგენა მივსცეთ მკითხველს ამ რომანის შესახებ, მაგრამ ვიტყვი, რომ გ. წერეთლის „გულქანს“ ჩვენს ლიტერატურაში შეუძლია ისეთი ადგილი დაიჭიროს, როგორიც რუსეთის ლიტერატურაში უკავია ტურგენევის „აზნაურთა საბუდარს“ და „მამებსა და შვილებს“. ჩვენი ინტელიგენციის სამოციანი წლების თაობა და თავად-აზნაურული წრეები მშვენიერადაა რომანში დახასიათებული. განსაკუთრებით კოლორიტიანია ბაკურიძე, რომლის წინაპრებმა „მირონცხებულს ულალატეს“. (იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ მე-2) და რუსის ჯარი შემოიყვანეს იმერეთში. თითონ ბაკურიძე, რომელიც რუსის მთავრობას ნიკოლოზის შინელით და ტემლაკებით ყავს შემკობილი, გენერალ პუზირევსკის გზას უჩვენებდა აჯანყებულ გურიის დასამორჩილებლად.

და უცებ ასე დამსახურებული ბაკურიძე გაიგებს, რომ ყმებს ართმევენ.

— ვის? მე? მე მიბედავს ამას რუსი? განა ამისათვის მიუძღოდი პუზირევსკის? ეს ჯილდო მეკადრება? ასე მრისხანებს თავადი, რომელიც მალე ჩაქინდრავს თავს და იტყვის:

— ახია ქართველ თავადობაზე ყველაფერი. განა „მირონცხებულის“ ღალატისათვის ხეირი დაგვეყრებოდაო.

ვ. ხ—ძე.



საბჭოთა ნავთი, მიუხედავად დეტერდინგისა და კომპ. ცდებისა, თანდათანობით იპყრობს უცხოეთის ბაზრებს. აღმოსავლეთის ბაზრებიდან (თურქეთი, სპარსეთი და სხვ.) საბჭოთა ნავთმა თითქმის განდევნა ინგლისის ნავთი. ნავთის ექსპორტის გაძლიერებასთან დაკავშირებით დღის წესრიგშია დაყენებული ნავთის მზიდავი ფლოტის გადიდების საკითხი. საბჭოთა კავშირში და უცხოეთში შენდება ნავთის მზიდავი მთელი რიგი გემები სურათზე—ახლად აგებული ნავთის საზიდი გემი „აზნეფტ“ ბათომის ნავსადგურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი მარქსისტული ბიბლიოთეკა თბილისში

## მ. კლიმიაშვილი

ჟურნალ „ქართული მწერლობის“ მეხუთე ნომერში მოთავსებულია სერგო რობაქიძის მოგონება მაქსიმ გორკის თბილისში ცხოვრების შესახებ. ამ წერილში ზოგიერთი ფაქტები სწორად არ არის აღნიშნული და საჭიროა სათანადო შესწორების შეტანა.

სერგო რობაქიძეს ეჭვი შეაქვს, რომ თბილისში პირველი მარქსისტული არალეგალური ბიბლიოთეკა დაარსებულ იქნა 1893 წელს სტანისლავ (იუსტინ) რენინგერის ხელმძღვანელობით. იგი მარქსისტულად სთვლის იმ ბიბლიოთეკას, რომელიც ანდრო ლეჟავას ბინაზე იყო მოთავსებული გაცილებით ადრე და რომლითაც სარგებლობდა თბილისის საშუალო სასწავლებლის, უმთავრესად კი სასულიერო სემინარიის უფროსი კლასების და საოსტატო ინსტიტუტის მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ ბიბლიოთეკის დაარსების წლად სერგო რობაქიძე სთვლის 1888-1889 აკადემიურ წელს და დასძენს, რომ სტანისლავ რენინგერი 1889 წელს სარგებლობდა ამ ბიბლიოთეკითო.

მე პირადათ ანდრო ლეჟავას ბინაზე, ახალ-არსენალის ქუჩაზე, არალეგალური ბიბლიოთეკა მახსოვს 1891-1892 აკად. წლიდან, და ეს ბიბლიოთეკა არ იყო მარქსისტული. იქ თავმოყრილი იყო ყველანაირი აკრძალული წიგნები, აგრეთვე ისეთი მეცნიერული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებიც თუმცა მოიძებნებოდა საჯარო ბიბლიოთეკაში, მაგრამ იმ დროს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ძნელი, იშვიათი საშოვარი ან სულაც ხელმიუწვდომელი იყო.

ამ ბიბლიოთეკის დაარსების ისტორიის შესახებ ასე გამიგონია: ანდრო ლეჟავამ და მისმა ამხანაგებმა (მათ შორის სერგო რობაქიძეც იქნებოდა, რადგანაც მათი წრის წევრი იყო) გოლა ჩიტაძისეულ ბიბლიოთეკიდან ბლომად მიიღეს წიგნები; ამ წიგნებს მათ დაუმატეს თავისი შეძენილი და შეგროვილი, სისტემაში მოიყვანეს და ხელმისაწვდომი გახადეს იმ დროის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

სტანისლავ რენინგერი 1889 წელს თბილისში სულაც არ იმყოფებოდა. ლეჟავასეულ ბიბლიოთეკაში იგი პირველად მოვიდა, როგორც მიწისმზომელთა სასწავლებლის მოსწავლეთა თვითგანვითარების წრის წარმომადგენელი, მხოლოდ 1893 წლის შემოდგომაზე, როცა ანდრო ლეჟავა უკვე თბილისში აღარ იმყოფებოდა და მის ბინაზე ვცხოვრობდით მე და პეტრე ლუკიანოვი.

მარქსისტული ბიბლიოთეკის დაარსება რენინგერის ხელმძღვანელობით ასე მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რენინგერი ჩვენს არალეგალურ ბიბლიოთეკაში მოვიდა პირველად 1893 წლის შემოდგომაზე. მოსვლისთანავე მან დაგვიწყო კამათი მე და ლუკიანოვს. ხშირად მოდიოდა და გველაპარაკებოდა. ეტყობოდა მას რაღაცა გარკვეული მიზანი ჰქონდა. მე ჩქარა გავხდი მისი მიმდევარი, ლუკიანოვი კი დარჩა მართლმორწმუნე ნაროდნიკი. ამის შემდეგ რენინგერი დამიახლოვდა მე და გამიცხადა, რომ მას უკვე ჰყავს პატარა წრე მარქსისტებისა, მირჩია ინტელიგენტურ ლაყბობისათვის თავი დამენებებია და ამ წრესთან ერთად შევდგომოდი პრაქტიკულ საქმიანობას მარქსიზმის გასავრცელებლად ახალგაზრდობასა და მუშებში.

რენინგერმა მიმიყვანა ფედია აფანასიევის ოთახში კალოუბნის ქუჩაზე, ტაბურჩინსკის ბინაზე. აქ გარდა აფანასიევისა გავიცანი აგრეთვე კოკი, თბილისის საბალოსნო სკოლის მებაღე-მასწავლებელი. სამთავენი უკვე აწარმოებდნენ მუშაობას თავიანთ ნაცნობთა შორის. მათ ჰქონდათ ცოტაოდენი მარქსისტული ლიტერატურა სხადასხვა ბინებზე შენახული. აფანასიევის ბინაზედაც იყო რამდენიმე წიგნი და ბროშიურა. რენინგერმა გადაათვალიერა აგრეთვე ლეჟავასეული ბიბლიოთეკის კატალოგი და ამოარჩინა ბევრი წიგნი და ბროშიურა, რომლებიც სასარგებლო იყო მარქსისტულ მსოფლმხედველობის შესათვისებლად. წრემ გადასწყვიტა ყველა ამ წიგნებისათვის თავი მოეყარა აფანასიევის ბინაზე, ბიბლიოთეკურ სისტემაში დაგველაგებინა და შეგვედგინა კატალოგი. ამ მუშაობის შესრულება დამევალა მე. რენინგერმა მაჩვენა ის ბინები, სადაც შენახული ჰქონდათ მათ თავიანთი წიგნები და შევუდექით მუშაობას. ამ რიგად რენინგერის ხელმძღვანელობით დაარსებულ წმინდა მარქსისტულ ბიბლიოთეკაში ლეჟავასეულ ბიბლიოთეკიდან გადმოტანილ იქნა მხოლოდ ნაწილი წიგნებისა; დანარჩენი დატოვებულ იქნა ძველ ბინაზე და მოსწავლე ახალგაზრდობა განაგრძობდა შემდეგშიც ამ ბიბლიოთეკით სარგებლობას.

სერგო რობაქიძეს მოყვანილი აქვს დიდი ია იმ პირებისა, რომელთაც, მისი სიტყვით, სვლელობა ჰქონდათ ანდრო ლეჟავას ბინაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანდრო ლეჟავას ბინაზე არალეგალური ბიბლიოთეკა მოწყობილ იქნა არა უადრეს 1891 წლის შემოდგომისა. ამ ხნიდან კი ხშირი სტუმარი ვიყავი ამ ბიბლიოთეკისა და 1893 წლის შემოდგომიდან ანდრო ლეჟავას მოსკოვში წასვლის შემდეგ სულაც დავსახლდი ამ ბინაზე. მაგრამ სერგო რობაქიძისაგან აღნიშნულ პირთაგან ბევრი სულ არ მინახავს ამ ბინაზე. მართალია ის, რომ მიხა ცხაკაია, რომელიც იმ ხანებში თბილისში სცხოვრობდა, ხშირი სტუმარი იყო ანდრო ლეჟავას ბინაზე მოთავსებულ ბიბლიოთეკის, მაგრამ ფილიპე მახარაძეს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და სხვ. ამ ბიბლიოთეკაში სიარული არ შეეძლოთ, რადგან ისინი იმ წლებში თბილისში არ იმყოფებოდნენ. მიხა ცხაკაიასთან ერთად ამ ბიბლიოთეკაში რამდენჯერმე იყო 1891-1892 წელს აგრეთვე ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი). კალიუჟნი და ძმები ლუზინები ამ ბინაზე სულ არ ყოფილან. ივანე ივანეს ძე ლუზინი იმ დროს თბილისში არ სცხოვრობდა. არ მახსოვს ამ ხანებში აგრეთვე ანდრო ლეჟავას ბინაზე შიო ჩიტაძე. 1893-1894 წელს შიო ჩიტაძე სცხოვრობდა ტაბურჩინსკის ბინაზე, იქ ვხედავდი ხოლმე, როცა აფანასიევთან დავდიოდი, მაგრამ აფანასიევ-რენინგერის წრესთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

მ. კლიმიაშვილი.

---

# ჭიათურის მუშკორთა ექსკურსია ქუთაისში



29 დეკემბერს ქუთაისს ესტუმრა ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშკორთა ექსკურსია სამთამადნო მუშათა პროფკავშირის კულტგანყოფილების გამგის ამხ. გ. მახარაძის ხელმძღვანელობით.

ექსკურსიამ დაათვალიერა ქუთაისის მესამე საგრენაჟო სადგური, რიონჰესის სამუშაოები, მაუდის საქსოვი ფაბრიკა და სხ. ექსკურსია ქუთაისში დარჩა ორი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ მოქალაქეთა სამჭედლო

ი. რუდოვსკი.

მშრომელ ახალგაზრდობას სამხედრო ცოდნის შესაძენათ ორი წლით უხდება წითელ ყაზარმაში ყოფნა.

რას წარმოადგენს ეს ყაზარმა დღეს, როგორია იქ საცხოვრებელი პირობები, შინაური წესრიგი და სხვა,—აი ის კითხვები, რომელნიც შესაძლებელია აფიქრებენ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს წითელ ჯარის რიგებში გაწვევის წინ. ამ ყაზარმების გარეგნულ სახეს მართლაც რომ შეუძლია ჩააფიქროს მის შიგნით გაჩაღებულ ცხოვრებასთან გაუცნობი ადამიანი.

ძველი მთავრობის დროს ულაზათოდ აგებული ეს შენობები გარეგნულად ციხეებს უფრო ემსგავსებიან, ვიდრე საცხოვრებელ ბინებს.

არც შინაგანი მოწყობილება ახარებდა ძველ დროში ყაზარმის მნახველის თვალს. ყაზარმაში ვერაფერს ნახავდით გარდა ტახტებისა. არ იყო სასადილოები, საკლასო ოთახები, სადალაქო და სხვა. კლუბებზე და სკოლებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

სამაგიეროდ ყველა ყაზარმას აუცილებლივ უნდა ჰქონოდა ეკლესია.

მატერიალური პირობები ვერ უწყობდენ ხელს საბჭოთა ხელისუფლებას—ხელი მოეკიდებია წითელი ჯარისკაცების ახალი საცხოვრებელი ბინების აგებისათვის. მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე. აი რატომ გვიხდება ჩვენ ისევ ამ ციხის მსგავს სახლების გამოყენება ყაზარმებათ. სამაგიეროდ ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, რომ ახალ ყაზარმაში არ დარჩენილიყო არავითარი ნაშთი წარსულის, რომელიც ჯარისკაცს მონად ხდიდა. წითელ ყაზარმაში ყველაფერი ისე არის მოწყობილი, რომ უკეთეს პირობებში მოხდეს წითელი მხედრების და სოციალიზმის მშენებლების აღზრდა და მომზადება. თუ გარეგნულად ასე მოწყენილად გამოიყურება ყაზარმა, სულ სხვა სურათია შიგნით. ყველა მნახველს გააკვირვებს ჯერ იშვიათი სისუფთავე. სისუფთავე დაცულია აქ ყველგან—ნივთების მიმართ, იატაკზე, ეზოში და მხედრის პირად ცხოვრებაშიაც. მიღწეულია ეს არა ადმინისტრატიულ წესით, არამედ ეს არის შემდეგი გეგმიან და სისტემატიურ აღმზრდელობითი მუშაობის. პირადი მაგალითი, ამხანაგების შენიშვნები, საერთო პირობები,—აი რა მოქმედობს და ახდენს გავლენას იმ ადამიანზე, რომელიც ახლად ეთვისება ყაზარმულ ცხოვრებას.

ყაზარმაში მისვლის პირველ დღიდანვე ახლად მოსული ვარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ძალაუნებურად იძულებული ხდება დაეწაფოს სწავლა-განათლებას, სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენას. სამუშაო დღე საუზმის შემდეგ იწყება პოლიტიკურ მეცადინეობით, რომელშიაც ჩართულია საერთო განათლების საგნები. თუ არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, მათთან სწარმოებს განსაკუთრებული მეცადინეობა ცალკე ჯგუფებში. არ უმშვიდდება გული ნაწილის პოლიტიკურ მომუშავეებს და მეთაურებს იმ დრომდე, სანამ მათ ნაწილში ერთი წერა-კითხვის უცოდინარი მაინც არის დარჩენილი. ახლა წარმოიდგინეთ წითელი არმიელის სიხარული, როდესაც ის პირველ წერილს სწერს სახლში საკუთარ ხელით! ხშირათ ის არ კმაყოფილდება ამით და წერილს აგზავნის აგრეთვე გაზეთ „წითელ არმიელში“ და მადლობას უცხადებს თავის აღმზრდელებს. ამ გაზეთის რედაქციაში თქვენ გიჩვენებენ მრავალ ასეულ ასეთ წერილებს.

საერთო სწავლა-განათლებასთან ერთად წითელ-არმიელები იძენენ სერიოზულ პოლიტიკურ ცოდნასაც. პოლიტიკურ მეცადინეობის პროგრამა ისე არის შედგენილი, რომ არც ერთი წ.-არმ. არ დარჩეს გაურკვეველი მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. აქაა პარტიის პოლიტიკა სოფლად, საბჭოთა მუშაობის საკითხები, სამეურნეო მშენებლობა, ინდუსტრიალიზაცია და სხვა. პოლიტიკურ მეცადინეობის კომპლექსური სისტემა შესაძლებლად ხდის ამ საკითხების დაკავშირებას ეკონომიურ გეოგრაფიასთან და მათემათიკასთან.

ამით არ ამოიწურება აღმზრდელობითი მუშაობა წითელ-არმიელებთან. თავისთავად ცხადია, რომ პირველი ადგილი უჭირავს სამხედრო საქმეს, რომელშიაც შედის სროლის საქმე, ტაქტიკა, ტოპოგრაფია, სამხედრო ქიმია და სხვა. ეს მუშაობა სავალდებულო წესით ტარდება. მეცადინეობის შემდეგ წითელ-არმიელები სადილობენ და თავისუფალი არიან.

სწორეთ ამ თავისუფალი დროის გამოყენება არის განსაკუთრებით საინტერესო. ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია ლენკუთხეები, სადაც საუკეთესო პირობებია შექმნილი დასვენებისა და თვითგანვითარებისათვის. გაზეთები, წიგნები, სამოსწავლო ნივთები, გასართობები (ჭადრაკი, „შაშკი“, დომინო, ქართულ ნაწილებში—ნარდი და სხვა). აქვე გამოფენილია კედლის გაზეთი, სადაც, როგორც სარკეში, გამოხატულია მთელი ასეულის ცხოვრება თავის მიღწევებით და ნაკლოვანებით. გაზეთების ხმამაღლა კითხვა, საუბრები ცალკე საკითხებზე, ჯგუფების მუშაობა, თვითმომქმედების საღამოები,—აი რით ივსება წითელარმიელების თავისუფალი დრო.

უფრო რთული და ღრმა მუშაობა სწარმოებს ლეგიონის კლუბში. აქ შეკრებილია მთელი „ნაღები“ წითელ-არმიელთა მასისა. თუ წითელარმიელი კულტურულ-პოლიტიკურად იმდენათ გაიზარდა, რომ მას აღარ აკმაყოფილებს მუშაობა თავის ასეულის ლენკუთხეში, ის შედის ლეგიონის კლუბში, სადაც მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა წრეებში. აქ ხედავთ თქვენ სასპორტო წრეს, სალიტერატურო და ანტირელიგიურ მუშაობას, კოოპერატიულ წრეს, დრამატიულ წრეს, მუსიკალურ, საერთო-საგანმანათლებლო და სხვა წრეებს. თავის მუშაობის შედეგები ამ წრეებს გადააქვთ კლუბში მასიურ საღამოების მოწყობით. საკლუბო მასიურ მუშაობას აცხოველებს აგრეთვე რადიო და კინო. უკანასკნელს განსაკუთრებული სიყვარული აქვს მოპოებული წითელ-არმიელთა მასებში. ამას ემატება აგრეთვე საჩვენებელი გასამართლების მოწყობა, დისპუტები და სხ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წითელ-არმიელთა მასის კოოპერატიულად დარაზმვას. არც ერთ მხედარს საგნების საყიდლათ არ უხდება მიმართვა კერძო ვაჭრისთვის. ყველა ნაწილებში (ცალკე ასეულამდე) მოწყობილია კოოპერატიული დუქნები, რომელთაც განაგებენ თვით წითელ-არმიელები. ამ დუქნებში მოიპოვება წითელ-არმიელთათვის საჭირო ყველა საგნები. ასეთი სისტემის წყალობით თვით წითელ არმიელები ებმებიან პრაქტიკულ კოოპერატიულ მუშაობაში და მეორე მხრივ ამ დუქნების წმინდა მოგების საგრძნობი ნაწილი ხმარდება ისევ სამხედრო ნაწილის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის საჭიროებებს.

„ყაზარმების დათვალიერების“ კამპანიამ ბევრი ახალი რამ შეიტანა ყაზარმულ ცხოვრებში. კერძოთ დაისვა და პრაქტიკული მოგვარების გზაზეა წითელ-არმიელთა „საჩაიების“ მოწყობის საკითხი. სუფთად და მყუდროდ მოწყობილ შენობაში სამხედრო მსახურს ეძლევა ჩაი—ჭიქა 2—3 კაპეიკათ. აქ შეუძლია მას დაისვენოს და გაატაროს დრო ამხანაგებთან საუბარში ან ჟურნალ-გაზეთების კითხვაში. ეს ახალი საქმეა და მიზნად ისახავს წითელ-არმიელების გადაჩვევას ბაზრებში და ქუჩებში უქმად სიარულისაგან.

გარდა ამისა „ყაზარმების დათვალიერებამ“ აუცილებლად გავლენა იქონია წითელ-არმიელთა მასის კულტურულ დონეს ამაღლებზე. ყველგან გაჩნდა კბილის ჩოთქები, მეტ ყურადღებას აქცევენ ტანის მოვლას და სხვ.

„დათვალიერების“ დღეებში შემოღებულ იქნა „დათვალიერების დაფები“, „წინადადებების რვეულები“, „დათვალიერების ფურცლები“,—სადაც წითელ-არმიელები სწერენ წინადადებებს, რომლებიც შეეხება ყაზარმულ ცხოვრების გაუმჯობესებას. მე-5 ქართულ ლეგიონში წითელ-არმიელებმა შეიტანეს წინადადება, რომ წითელ-არმიელთა ოჯახის წევრების მისაღებათ მოწყობილიყო ცალკე ოთახი. ეს წინადადება ცხოვრებაში ტარდება.

დღეს ყველა ყაზარმებში მიმდინარეობს ენერგიული მუშაობა „დათვალიერებისათვის“ მოსამზადებლად. საუკეთესო ყაზარმებს დაურიგდება ჯილდოები. აუცილებელია რომ მშრომელი მასა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართედ გამოეხმაურონ ამ დიდ კამპანიას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყაზარმის გადახალისების საქმეში. ამით უფრო გაუმჯობესდება ჩვენ წითელ მებრძოლის ყოფა-ცხოვრების პირობები, რაც განამტკიცებს ჩვენი წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობას.

ი. რუდოვსკი.



1. წითელ-არმიელები ჟურნალ-გაზეთების კითხვის დროს.

2. ლენკუთხეში

3. საწოლი ოთახის მილაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიწის ქვეშეთის საიდუმლოებანი

თუმცა ეტნა უკვე დაწყნარდა, მაგრამ არ შეწყვეტილა კამათი მის შესახებ; ლავის მაგივრად მელანი იღვრება ნიაღვარივით. საქმე ისაა, რომ როგორც კი ადამიანი სცდილობს გაიგოს, როგორ მდგომარეობაში იმყოფება მატერია დედამიწის სიღრმეში, მაშინვე საიდუმლოებანი და წინააღმდეგობანი იჩენენ თავს. ერთად ერთი პუნქტი, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია, არის ის გარემოება, რომ ამ მატერიას მაღალი ტემპერატურა აქვს.

ეს მატერია რომ გარეთ სითხის სახით გადმოდის, ვულკანების მილების გზით, ეს ყველამ იცის, მიტომ, რომ ეს ადვილი დასანახია. მაგრამ ასეთივეა თუ არა ეს სითხე დედამიწის სიღრმეში? აქ უკვე აზრთა სხვადასხვაობა იწყება. ცნობილ ნივთიერებათა უმრავლესობა დნება შედარებით ნაკლები სიმაღლის ტემპერატურაში, ხოლო ის სითბო, რომელიც ასიოდე კილომეტრის სიღრმეზეა, საკმაო იქნებოდა, რათა გაედნო ყველა ნივთიერება, რისგანაც დედამიწის ზედაკანი შესდგება, იმ შემთხვევაში თუ ეს ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე ყოფილიყო გაბატონებული. მაგრამ საქმე ისაა, რომ დედამიწაში ჩაღრმავების მიხედვით, წნევა მატულობს. ამასთანავე ცნობილია, რომ ლითონების უმრავლესობის გადნობის ტემპერატურა იზრდება წნევასთან ერთად: პარაფინი დნება 46°3 ერთი ატმოსფერის წნევის დროს, ხოლო 49°-ზე, თუ წნევა ას ატმოსფეროს უდრის.

მაგრამ ასობით მოიპოვება ისეთი ნივთიერებანიც, მაგალითად ყინული, რომელიც პირიქით მით უფრო დაბალ ტემპერატურაში დნება, რაც უფრო მაღალია წნევა. ეს ადვილათ სჩანს, თუ ყინულის ზოდს ფოლადის მავთულს დავადებთ, ხოლო მავთულზე სიმძიმეს ჩამოვკიდებთ. მავთული ნელნელა შევა ყინულში, როგორც კარაქში და, დაბოლოს მიწაზე დაეცემა, ისე რომ ყინულის ზოდი არ გადაიჭრება; ეს უკანასკნელი დნება ფოლადის სიმძიმის ქვეშ და ხელახლა იყინება მაშინვე. საერთოდ დამტკიცებულია, რომ სხეულები რომელთა გადნობა ადვილდება წნევის მომატებით, სწორეთ ის სხეულებია, რომელთა მოცულობა კლებულობს გადნობის დროს (ყინული ცურავს წყლის ზედაპირზე) და პირიქით.

უზარმაზარი წნევისა და უზარმაზარი ტემპერატურის მიხედვით, რომელიც დედამიწის სიღრმეში მეფობს, მატერია ან ერთ ზემოაღნიშნულ თვისებას იჩენს, ან მეორეს (რაც არ შეგვიძლია ვიცოდეთ) და იგი ან გამდნარი იქნება ან მაგარი. პირველ შემთხვევაში დედამიწის გაცივებას შეუძლია მისი მოცულობა გაზარდოს და ვულკანური ამოხეთქვა გამოიწვიოს გაფართოების წყალობით; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გაცივება ჩაშვავებას გამოიწვევს. მაგრამ როგორი შეიძლება იყოს იმ სითხის მდგომარეობა (თუ იქ მართლაც სიცხეა), რომელსაც დედამიწის სიღრმეში რამდენიმე მილიონი ატმოსფერის სიმძიმე აწევს? ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. უეჭველია და ფაქტების მიერ დადასტურებული, რომ მაგმას ერთგვარი წებოვანება აქვს და ზოგიერთი მხრით მეტნაკლებათ სითხის თვისებებითაა აღჭურვილი. მეორე მხრივ უეჭველია და ფაქტებით დადასტურებულია ისიც, რომ დედამიწის შუაგულს მნიშვნელოვანი სიმკვრივე, სიმაგრე და ელასტიიურობა. აქვს. ამ მხრივ იგი სჭარბობს ფოლადსაც კი. ეს უცნაური წინააღმდეგობაა.

მეცნიერები შეეცადნენ ეს წინააღმდეგობა გადაელახათ იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ მაგ. ლუქის მოგრძო ჯოხი ჩვეულებრივ ტემპერატურაში ტყდება დაცემის დროს; მაგრამ თუ მას ორ საბჯენზე მოვათავსებთ, ნელნელა გაიღუნება და რამდენიმე თვის შემდეგ შევამჩნევთ, რომ მოკაკულა. მაშასადამე, თავისი სიმკვრივის მიუხედავად, ლუქი ხანგრძლივი მიზეზის ზეგავლენით სითხესავით იქცევა.

ვერავინ დაამოწმებს, რომ დედამიწის მაგმას ანალოგიური თვისებები არ ჰქონდეს? მაგრამ სამწუხაროდ ვერც იმას დაამოწმებს ვინმე, რომ მას ეს თვისებები ჰქონდეს.

ერთი სიტყვით, ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდება რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე ჩვენს ფეხთქვეშ. ბევრათ მეტი ვიცით, თუნდ ქიმიური თვალსაზრისით, იმ უზარმაზარი სივრცის შესახებ, რომელიც ჩვენს ზემოთაა გაშლილი, ვარსკლავების შესახებ.



ეტნა ვულკანურ ამოხეთქის დროს.




ეტნას მიდამოები

**შ. ნ.**

# ქალს,

**რომელმაც დაგვათვალიერებია ზოოტეხნიკური სადგური.**

შენ არ ჰგევხარ სხვა ქალებს,
ახლობელს თუ შორეულს;
ქექლუცად რომ იცვამენ
ფარჩა-აბრეშუმეულს!

შენ, შავგვრემანს, გაჟღერებს
შრომა დაუზარელი;
მითხარ, ქალო, სიდან ხარ?
მთიელი თუ ბარელი?

შენ ლურჯებიც გიხდება
ღილებ-უმარგალიტო;
იშვიათი ქალი ხარ,
ჩვენში სამაგალითო!

მარტო სახეს არ გიქებ,
თუმც მიტაცებ შვენებით!
თვალი სიბრძნით გინათებს,
შუბლი—გეგმის შენებით!

სხვები თმას რომ იკრეჭენ—
საკოხტაო ცდებია;
და ამაო ყოფაში
უქმად აიგზნებიან.

შენ კი, ქალო, წაბლისფერს
აღარ იზრდი ნაწნავებს,
რადგან გიშლის, დროს გართმევს
და შრომაში გაწამებს.

შენ არ ჰგევხარ სხვა ქალებს,
როგორც ნამდვილს—არაკი!
შენს თლილ თითებს დაალბობს
თაფლი, რძე და კარაქი.

სხვები სახეს უსისხლოს
ილებავენ ლაქებით;
შენ კი თვითონ სისხლი ხარ,
და სიცოცხლე ნაქები.

ფშაურ ძროხებს დაჰხარი,
როგორც დედა-მშობელი;
გლეხს მომავალს უმზადებ,
ააყვავოს სოფელი!

მჯერა, შენისთანებით
მშრომელს მოელხინება;
ახალ საქართველოში
ხდება აღორძინება!

გნახე ქალი ახალი,
ნეტა მრავალს ვნახავდე;
გული ისევ ამღერდა,
თვალებს ბინდი ამხადე!

**სანდრო შანშიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ინგლისის ხელი ავღანისტანში

ნ. —ლი.

როცა ფადიშახ ამმანულას ევროპაში და კერძოდ ინგლისში მოგზაურობის დროს საბოლოოდ გამოირკვა, რომ შუბლმაგარი დიპლომატები ვერ შესძლებენ ავღანისტანის დაყოლიებას ანტი-საბჭოთა გეგმებში მონაწილეობაზე, ინგლისის იმპერიალისტები შეუდგნენ მზადებას იმისათვის, რომ სხვა გზით მოეჭახრაკებიათ ის საქმე, რაც „მშვიდობიანი“ გზით ვერ მოხერხდა.

ყალბი დოკუმენტების და კომინტერნის წერილების დამზადებაში დახელოვნებული აგენტები შეუდგნენ ცნობების შეთხზვას ავღანისტანში დაწყებული აჯანყების შესახებ, და ვინც ავღანისტანში უკანასკნელი აჯანყების დროს ინგლისის პრესის კომენტარიებს ადევნებდა თვალყურს, ის განცვიფრებული დარჩებოდა იმ გარემოებით, რომ ინგლისის პრესა უკანასკნელი აჯანყების გამომწვევ მიზეზებად ასახელებდა იმავე ფაქტებს, რომელიც მას მოჰყავდა რამდენიმე თვის წინად მოჭორილი აჯანყების შესახებ ცნობების გავრცელების დროს.

რით აიხსნება ინგლისელ იმპერიალისტების ესოდენი ყურადღება ავღანისტანისადმი?

წარსულში ავღანისტანი წარმოადგენდა ბუფერს თვითმპყრობელურ რუსეთსა და ინგლისის სამფლობელოს—ინდოეთს შორის.

თვითმპყრობელური რუსეთი იმდენათ მიუახლოვდა ინდოეთის საზღვრებს, რომ ინგლისს არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა ამ ექსპანსიისათვის აღმოსავლეთში. ავღანისტანი წარმოადგენდა პლაცდარმს, რომელსაც უნდა შეეჩერებია მეფის რუსეთის გაფართოება და უზრუნველეყო ინდოეთის საზღვრების უშიშროება.



ქაბულის დამცველი ალი ახმედ-ხანი

ამის გამო მთელ რიგ ათეული წლების განმავლობაში ინგლისელ იმპერიალისტებს მოსყიდვისა თუ ძალდონის საშუალებით ავღანისტანი თავისი კოლონიის მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული.

მაგრამ, გადატრიალებამ, რომელიც 1919 წ. მოახდინა ახლანდელმა ფადიშახმა, ბოლო მოუღო ამ მდგომარეობას. ამმანულა-ხანმა გამოაცხადა ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობა: პირველი სახელმწიფო, რომელმაც იცნო ეს დამოუკიდებლობა, იყო საბჭოთა რუსეთი. ინგლისი შინაური აჯანყებებისა და ინტერვენციის საშუალებით შეეცადა დაემხო ახალი რეჟიმი, მაგრამ ყველა ეს ცდები მარცხით დასრულდა, და 1921 წ. დიდი ბრიტანეთი იძულებული შეიქნა ეცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა.






ავღანისტანის რუკა. მარჯვნივ კუთხეში: ფადიშახი ამმანულა და დედოფალი სორაია

ცნობა—ეს მხოლოდ სიტყვით იყო. სინამდვილეში კი ინგლისს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა ავღანისტანის დამოუკიდებლობის წინაალმდეგ. ამის საბუთად საკმარისია თუ გინდ ის ფაქტი, რომ ამმანულა-ხანის რეფორმებით უკმაყოფილო ყველა ელემენტები გულთბილ შეხვედრას და საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ ინდოეთის ტერიტორიაზე ავღანისტანის მეზობლად. (მაგ. ამმანულა-ხანის ბიძა—ომარ-ხანი, რომელიც 1924 წ. მარცხით დამთავრებული აჯანყების შემდეგ იძულებული შეიქნა გაქცეულიყო და ინგლისელ გენერლებს შეაფარა თავი).

ინგლისის ეს ფარული თუ აშკარა ბრძოლა ავღანისტანის დამოუკიდებლობის წინაალმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, როცა ავღანისტანი მტკიცედ დადგა პროგრესისა და განვითარების გზაზე, როცა ამმანულა-ხანი შეუდრეკლად შეუდგა სასულიერო წოდებისა და ცალკე მთავრების გავლენის ლიკვიდაციას,*) სკოლების გახსნას, გზების გაყვანას, მრეწველობის განვითარებას, არმიის შექმნას, რასაც საბოლოო ანგარიშით უნდა მოჰყოლოდა ძლიერი და ნამდვილად დამოუკიდებელი ავღანისტანის შექმნა. ამმანულა-ხანის განცხადებამ „დამოუკიდებლობის დღესასწაულზე“, რომ ავღანისტანის ხალხი არასდროს არ შეურიგდება მისი მიწაწყალის დასაკუთრებას უცხოელების მიერ (ლაპარაკია ავღანისტანის ტერიტორიაზე, რომელიც ინგლისმა დაიკავა და შეინარჩუნა ძველათ. ამ ტერიტორიაზე სამი მილიონი ავღანელი ცხოვრობს. თანამედროვე ავღანისტანის მოსახლეობა კი 7 მილიონამდე აღწევს), დაუმტკიცა ინგლისელ იმპერიალისტებს, რომ ამანულა-ხანის სახით მათ ჰყავთ მოწინააღმდეგე, რომელსაც ვერავითარი მუქარით ვერ მოსტეხენ.

და დაიწყო მზადება „ციხის შიგნიდან ასაფეთქებლად“.

ავღანისტანის ტერიტორიაზე გამოჩნდა მოლას ტანსაცმელში გადაცმული კაცი-აჯანყება — პოლკოვნიკი ლოურენსი, ასე დახელოვნებული შინაური აჯანყებების მოწყობაში მთელ არაბეთის ნახევარ კუნძულზე.

მომენტი შესაფერად იქნა შერჩეული. ამმანულა-ხანის რეფორმებმა ბევრი უკმაყოფილო ელემენტები დააგროვა ხალხში. დაბეჩავებული, კულტურულად ჩამორჩენილი გლეხობა გაება მოხერხებულად გამზადებულ პროვოკაციის ქსელში და სახელმწიფოში იფეთქა აჯანყებამ. ერთ ხანებში მდგომარეობა მეტად სახიფათო შეიქნა, აჯანყებული ბანდები ქაბულშიც კი შეიჭრენ, მაგრამ ამმანულა-ხანს დროზე მოუსწრო დამხმარე ძალებმა და მეამბოხენი უკუქცეულ იქნენ. ამჟამად აჯანყების ლიკვიდაცია წარმატებით მიმდინარეობს, მიუხედავათ იმისა, რომ მეამბოხეები დიდ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარებს.



ავღანელი მეამბოხეს ტიპი.

ინგლისის ხრიკები ერთხელ კიდევ ჩაიფუშა და ავღანისტანმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

ნ—ლი.

---

*) ეს მასალა უკვე შეკრული იყო ჟურნალში, როდესაც მოვიდა ცნობა ამანულა-ხანის პოლიტიკური კაპიტულიაციის შესახებ შავბნელ ძალების წინაშე ავღანისტანში.

ამაზე შემდეგ.

ნ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლივია-პარაგვაის შეტაკება

ნ. ბ—ძე.

პარაგვაი და ბოლივია.—იშვიათად თუ შეხვდება მკითხველი სამხრეთ-ამერიკის ამ ორი პატარა რესპუბლიკის სახელს პრესაში.

და მხოლოდ ახლა, როცა ბუმბერაზი კაპიტალისტური სახელმწიფოები გააფთრებით ემზადებიან საომრათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ გაუბედავთ მისი დაწყება, დეპეშას მოაქვს ცნობა, რომ სამხრეთ-ამერიკაში და წყო ომი.

ბოლივიამ ომი გამოუცხადა პარაგვაის, თუ პირიქით—პარაგვაიმ იკისრა ომის დაწყების პასუხისმგებლობა.

ტიკინების ჩხუბი დაიწყო. ეს შედარება იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ამით პატარა სახელმწიფოებისადმი უპატივცემლობა გამოვხატოთ. არა ეს არის ფაქტიური მდგომარეობის ასახვა.

ამ ორ პატარა რესპუბლიკას თავისი პარლამენტიც ჰყავს, პრეზიდენტიც, არმიაც, ფლოტიც, პარტიებიც, —ყველაფერი რაც ფორმალურად თითქოს დამოუკიდებლობის დამახასიათებელი ატრიბუტებია, მაგრამ ნამდვილათ მათი მთავრობები ასუნსიონში (პარაგვაი) ან ლა-პაზოში (ბოლივია) კი არ არის, არამედ ვაშინგტონში და ლონდონში. ამერიკელი და ინგლისელი ბირჟევიკები განაგებენ ფაქტიურად ამ ორ რესპუბლიკას (ისე როგორც ბევრ სხვებს ცენტრალურ და სამხრეთ-ამერიკაში).

და ვერც ერთი მთავრობა, ვერც ერთი პრეზიდენტი ერთ თვესაც ვერ დარჩება ხელისუფლების სათავეში, თუ ამერიკელ და ინგლისელ ბირჟევიკებისათვის ეს ხელსაყრელი არ არის.

პატარა პარაგვაის ეკონომიკაში ინგლისის კაპიტალი ბატონობს. ბოლივიაში — შეერთებული შტატების.

ამას კიდევ უნდა დაემატოს ის ფაქტი რომ იმ პატარა ტერიტორიაზე, რომლის გამო ხმლების ლესვას შეუდგნენ ორივე რესპუბლიკაში და ზარბაზნები აგუგუნდა, რამდენიმე წლის წინათ ნავთის წყაროები აღმოაჩინეს.

ამის შემდეგ მკითხველისათვის აშკარა ხდება სად მარხია ძაღლის თავი.

ტერიტორია, რომლისთვისაც ბოლივია—პარაგვაი ერთმანეთს შეებნენ, რამდენიმე წლის წინათ არავის არ აინტერესებდა. მას შემდეგ, რაც ნავთი გამოჩნდა იქ, ორივე რესპუბლიკა არაჩვეულებრივი სიყვარულით გაიმსჭვალა ამ უპატრონო ტერიტორიისადმი.

ბოლივია მას თავისად თვლის.

პარაგვაიც ამტკიცებს მასზე თავის უფლებებს.

ზარბაზნები აგუგუნდნენ. ვისი ფალავანიც გაიმარჯვებს, ნავთიც მას შერჩება.

იქ, სადაც ინგლის-ამერიკის კაპიტალების ინტერესი ერთმანეთს ეჯახება და, განსაკუთრებით იქ, სადაც ნავთის სუნი სდის, თოფის წამლის სუნი ტრიალებს და სისხლი იღვრება.

უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებულმა შტატებმა დროულად დაიწყო თავისი ფალავნის შეიარაღება: თოფ-ზარბაზნები მრავლად იგზავნებოდა შეერთ. შტატებიდან ბოლივიის არმიის შესაიარაღებლად ჯერ კიდევ 1927 წლიდან.



სურათზე—ის რაიონი, რომელიც შეიქნა პარაგვაი-ბოლივიას ომის საბაბი.

მარჯვნივ კუთხეში: პარაგვაის პრეზიდენტი სილესი (მარცხნივ) და ბოლივიის პრეზიდენტი გურიერი (მარჯვნივ)

ამრიგად ნიუ-იორკელ ბირჟევიკების და ნავთის მრეწველების მხარეზე აღმოჩნდა საგრძნობი უპირატესობა. თუმცა ამ ფაქტში არაფერია გასაკვირი: ინგლისის ბებერ იმპერიალიზმს უკანასკნელი წლების განმავლობაში დედამიწის ზურგის თქმის ყოველ კუთხეში უხდება პოზიციების დათმობა ამერიკის ახალ გაზრდა და ძლიერი იმპერიალიზმის შემოტევის ზეგავლენით.

ალბათ ასე მოხდება ახლაც.

ინგლის-ამერიკა ერთმანეთს ებრძვიან ნავთის წყაროებისათვის. ქონდრის კაცები კი ერთმანეთს თავს ამტვრევენ „ნაციონალური ღირსების“ დასაცავად, ნამდვილად კი — კაპიტალისტთა ცალკე ჯგუფების ინტერესებს ემსახურებიან.

როგორც დეპეშები იუწყებიან, ბოლივია-პარაგვაის ომი შეწყდა იმ დრომდე, სანამ პან-ამერიკული კონფერენციის სპეციალური კომისია გამოიტანდეს თავის დასკვნას კონფლიქტის შესახებ. პან-ამერიკულ კონფერენციაზე ბატონობს შეერთებულ შტატები. აშკარაა, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს კომისია.

არგენტინამ, სამხრეთ-ამერიკის ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფომ უარი სთქვა კონფლიქტის განხილვაში მონაწილეობაზე. ბურთი და მოედანი კონფლიქტის „მოგვარებაში“ ამერიკელ ბირჟევიკებს დარჩათ. ცხადია, რომ ისინი ხელიდან არ გაუშვებენ შემთხვევას ხელთ იგდონ ნავთის ახალი წყაროები.

ნ. ბ—ძე.

# აჭარლები წითელ ჯარში

რუსეთის ყოფ. იმპერიაში იყო ისეთი კუთხეები, საიდანაც მეფეს ახალგაზრდობა არ გაყავდა ჯარში. ასეთი კუთხე იყო აჭარისტანი. არც აჭარლებს უყვარდათ მეფის მთავრობა და არც მეფე ენდობოდამათ. ეს უნდობლობა ძალაში დარჩა მენშევიკების დროსაც.

საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. აჭარისტანი მოიფინა სკოლებით, კლუბებით, დაისერა გზებით და ხიდებით. აჭარის სოფელში შეანათა კულტურამ, განათლებამ. აჭარელ გლეხმა შეიგნო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს ამისთვის საჭიროა საბჭოთა წესწყობილების დაცვა. და აი, პირველათ წელს აჭარელი ახალგაზრდობა შედის წითელ არმიაში.

წარსული წლის დამლევს აჭარისტანში ჩატარდა აჭარლების გაწვევა წითელ ჯარში. ყველა მაზრაში ახალგაზრდობა დანიშნულ დროზე დაუკლებლივ გამოცხადდა. ძლევამოსილ წითელ არმიის რიგებს კიდევ მიემატა ერთი რაზმი — აჭარისტანის წითელი ტერიტორიალური ნაწილი.

ნერგი.





ზევით—ჯარში გაწვეული ახალგაზრდა აჭარლები შესაკრებ პუნქტზე. ქვევით—წვევამდელთა ჯგუფი



ქუთაისიდან 5 ვერსის დაშორებით, სოფ. ბანოჯაში, აღმოაჩინეს ბუნებრივი გვირაბი, რომლის სიგრძე ერთ კილომეტრს უდრის. გვირაბი შიგნიდან განცვიფრებას იწვევს თავისი სილამაზით, მნახველს აოცებს სხვადასხვა ზომის სტალაქტიტები და სტალაგმიტები, ქვის არშიები, ჩუქურთმიანი დერეფნები, სვეტები და სხვ.

მოსკოველ პროფესორ გაუსინის სიტყვით, ასეთი ლამაზი გვირაბი იშვიათია მსოფლიოში.

სურათზე: შუაში — შესავალი გვირაბში, მარჯვნივ და მარცხნივ — გვირაბი შიგნიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი

## არჩევნებზე

ივანე საცოდავიშვილი კულაკების გავლენის ქვეშ იყო. განსაკუთრებით პატივს სცემდა კულაკს მიხა ბატიყლაპიაშვილს, რომელსაც საარჩევნო ხმის უფლება არ ჰქონდა წართმეული, რადგან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მისი ნათლიმამა იყო.

დაიწყო არჩევნები. დაასახელეს კანდიდატები. ამ დროს ივანე საცოდავიშვილმა წამოიძახა:

— მიხა ბატიყლაპიაშვილი ავირჩიოთ, გამოცდილი კაცია!

— არ გვინდა, მდიდარია, ის მდიდრების საქმეს გააკეთებს.—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რა ვუყოთ, რომ მდიდარია,—დაიწყო ივანემ,—მდიდარია და ჩვენთვის უფრო უკეთესი. მაშ, ჩემსავით ღარიბ-ღატაკებს რომ ასახელებთ, რა უნდა გაგვიკეთონ მაგათა; ან სასოფლო ფული რომ შეჭამონ, რა აქვთ, რას აუწერთ და რას გაუყიდით. წელან ვიღაც ამბობდა, რომაო საბჭოში საიმედო ხალხი უნდა ავირჩიოთო; მიხა ბატიყლაპიაშვილზე საიმედო კაცი ჩვენ სოფელში არ არის, იმოდენა შეძლება აქვს, რომ მთელ სოფელს იყიდის.

მიხა ბატიყლაპიაშვილი მაინც გააშავეს.

— გადაირია ეს ხალხი, თუ რა მოუვიდა!—სახლში მისვლისას უთხრა ივანემ თავის ცოლს.—ჩემსავით ღარიბ-ღატაკებს საიმედო ხალხათა სთვლიან, მიხას კი არა.

## გზა მშვიდობისა!

— ამხ. თავმჯდომარე, გლეხკორი თხოულობს დოკუმენტების შემოწმებას.

— რა დოკუმენტებისა? რათ უნდა?

— მუშფაკში მიდის სასწავლებლად...

— მართლა!? მიეცი საუკეთესო რეკომენდაცია. იქნებ გვეშველოს და დაილუპოს აქედან. ნეტავი მიიღონ.

## განიარაღების მაგივრად შეიარაღება

— მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი სხვას მოუწოდებს განიარაღებისაკენ, თვითონ აუარებელ იარაღებს ამზადებს და ამას არც კი ჰფარავს.

— როგორ?

— როგორ და გუშინდელ გაზეთში წავიკითხე: საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს გააძლიეროს სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების დამზადება და საზღვარგარეთიდანაც აუარებელი შემოიტანოსო.




დაწინაურებული მუშა—ვინ იცის ეხლა ქარხანაში როგორი გახურებული მუშაობაა და მე კი აქ ტყუილად ვცდები.



მარსი (ომის ღმერთი) შვიდობიანობაზე ლაპარაკობენ ნამდვილად კი ჩემს საქმეს აკეთებენ.

## საეჭვო კაცი

ამხ. მშვიდობაძე რამდენიმე დღეს დარჩა სოფელში და რამდენიმე საუბარი მოაწყო გლეხებთან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე და ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხებზე.

ამხ. მშვიდობაძის წასვლისას თემაღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი საგონებელში ჩავარდნენ:

— რატო ასეთი იყო ეგ კაცი.—ამბობს თავმჯდომარე.—სხვები რომ მოდიან, საკადრისად ვუმასპინძლდებით, ინდაურს დაუკლავთ, მწვადებს შევუწვავთ, კარგ ღვინოს მივართმევთ და ისინიც არაფერზე უარს არ ამბობენ. თანაც, უფრო სერიოზული ხალხია, თავი მართლა დიდ-კაცურად უჭირავთ, ლაპარაკიც ისეთი დიდ-კაცური აქვთ, რომ ყველა ვერ გაიგებს ეგ კი სულ სხვანაირად იქცეოდა: დილით ორ-სამ კვერცხს შესჭამდა და იმაშიც კი ფულს იძლეოდა, სამ დღეს დარჩა აქა და სამი ჭიქა ღვინის მეტი არ დაულევია. ლაპარაკიც ისეთი უბრალო ჰქონდა, გეგონებოდა დაღეჭილ ლუკმას გიდებს პირშიო. არა, არა, ეგ კაცი ძალიან საეჭვო იყო.

— მეც შევატყე, რომ ვილაც უბრალო კაცი იყო. სხვა რომ არა იყოს რა—პორთფელიც კი არ ჰქონდა.—დაუდასტურა მდივანმა.

## გამსახლის გზა

— მითხარი, თუ ძმა ხარ, რომელი გზით უნდა წავიდე, რომ გამსახლში მივიდე?

— არ ვიცი... ის კი ვიცი, რომ ხშირად კოოპერაციის გზით მიდიან გამსახლისაკენ.

## მოხელის „ათი მცნება“

I ნუ გაფლანგავ. II ზომა-წონაში ნუ დააკლებ. III პატივი ეც მომხმარებელსა შენსა. IV სამსახურში ნუ მიიღებ ახლობელსა შენსა. V წარა-მარად „კამანდიროვკაში“ ნუ ივლი. VI კერძო ვაჭრებთან კავშირს ნუ დაიჭერ. VII შეიყვარე „მრეველი“ შენი, ვითარცა მრეველმა შეგიყვაროს შენ. VIII იზრუნე ფასების დაკლებისათვის. IX გასწიე ხელმომჭირნეობა და არა ხელმრუდობა და X მუდამ გახსოვდეს, რომ კოოპერატივი საწველი ფური არ არის.

## „ს ი ს ტ ე მ ა“

### საწარმოო თათბირზე

მ უ შ ა ც ხ ა დ ა ძ ე: მე მარტო ის მინდა ვსთქვა, რომ დროა ჩვენმა ადმინისტრაციამ ეხლა მაინც უპატრონოს მანქანას, რომელიც გარეთ გდია და წვიმაში ჟანგდება.

საპასუხო სიტყვას ამბობს ქ ა რ ხ ნ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ი:

— ამხანაგებო, მე მაკვირვებს ამხ. ცხადაძეს ლაპარაკი. ჯერ ერთი, რაც მაგისი საქმე არ არის, იქ ერევა, მეორეც ისა, რომ ამხ. ცხადაძე საერთო წესებს არღვევს. სირცხვილია ამხ. ცხადაძესათვის, რომ აგერა, უკვე შვიდი წელიწადია ის ჩემს ქარხანაში მუშაობს და მან აქამდე კიდევ არ იცის ეს საერთო წესები. ამისათვის ეხლავ მოვახსენებ ამხ. ცხადაძეს, თუ როგორია ეს წესები: მანქანა თუ უპატრონობით ფუჭდება, ამის შესახებ პირველად მუშკორმა უნდა ამოიღოს ხმა და გაზეთში დაწეროს. ადმინისტრაცია ამის შემდეგ ვალდებულია მიიღოს საჭირო ზომები და საქმე გამოასწოროს. შენ კი ამხ. ცხადაძე, ამას გვერდი აუხვიე და ერთის ხელის დარტყმით მოინდომე ყველაფერი.

ც ხ ა დ ა ძ ე ა დ გ ი ლ ი დ ა ნ:—რა საჭიროა გაზეთში წერილის დაბეჭდვა, როცა ამ საქმის მოგვარება ეხლავ შეიძლება?

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი:—არა, ამხ. ცხადაძე იმისათვის, რომ საქმე საჩქაროდ მოვაგვაროთ· საერთო სისტემას ხომ არ დავარღვევთ?!

## „ნათელ-მირონი“

— შენა, ჩემო ნათლიმამ, ბურაო ხომ არა გაქვს?

— არა, არა მაქვს. რა იყო?

— წუხელ ვილასაც ჩემი ბეღელი ბურაოთი გაუხვრეტია და ათ ფუთამდე ხორბალი გაუზიდია.

## „მეგობრები“

საფრანგეთსა და ამერიკას შორის დამთავრდა ტელეფონის ხაზის გაყვანა, რაც მათი მეგობრობის საწინდარია.

უ ც ხ ო ე თ ი ს დ ე პ ე შ ე ბ ი დ ა ნ.

ა მ ე რ ი კ ე ლ ი.—ალლო! პარიზია? მეგობარო, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენზე ცოტაოდენი ქანქარია დარჩენილი.



მ ღ ვ დ ე ლ ი: რას მიყურებთ, გიკვირთ, რომ „დროშის“ პირველივე ნომერში მოვხვდი. ხა... ხა. ხა... მაშ არ იცოდით, რომ ეს ნომერი უჩემოთ არ გაგივიდოდათ.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა




— მოაწერეთ ხელი.
— წერა-,ითხვა არ ვიცი.
— მაშ „საქმეს“ რათ ატარებთ?
-- კარებზე სწერია: „უსაქმოდ ნუ შემოხ-ვალთ“-ო.

## „ზედმეტია განიარაღებაზე ლაპარაკი“

ჩემბერლენის სიტყვა ლუგანოში.—ნუ ვილაპარაკებთ განიარაღებაზე, რადგან, როდესაც განიარაღებაზე ვლაპარაკობთ—ჩხუბი მოგვდის და რაკი ჩხუბი მოგვდის, მაშასადამე, განიარაღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

## საჩქარო უწყება

— პეტრე, მიიღე და ხელი მომიწერე, არჩევნების უწყებაა საჩქარო.
— როდის არის არჩევნები?
— გუშინწინ იყო.

## „მოულოდნელი“ რევიზია

— გიორგი, დროიანათ მოემზადე, თორემ ამ დღეებში მოულოდნელათ თავს უნდა დაგესხა და რევიზია გაგიკეთო.

## ფუჭი ოცნება

კაპიტალისტი.— საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები ვითომ „ვოლოკიტას“ ებრძვიან, თვითონ კი ნამდვილი „ვოლოკიტჩიკები“ არიან, — მეთორმეტე წელიწადი მიდის და ვალს ჯერ კიდევ არ იხდიან.

## „ახალი ყოფა-ცხოვრება“

— დღეს ყველა ახალ ყოფა-ცხოვრებას მისდევს. მღვდელი ხომ მღვდელია, მაგრამ ისიც კი ვითომ ახალი დროის ყაიდაზე სცხოვრობს; რადგან ახირებულად გაუგია მას ეს ცხოვრება: თავისი ცოლი გააგდო და ახლა სხვის ცოლთან დაიწყო ცხოვრება.

## გლეხები გამგის კარებთან

პირველი გლეხი: (კითხულობს კარებზე გაკრულ განცხადებას)—გამგე ყოველ დღე იღებს...
მეორე გლეხი.—რას იღებსო?
პირველი გლეხი.—მაგასაც ხომ არ დასწერდა. რასაც მიუტან, ალბად, ყველაფერს აიღებს... დამაცადე, კიდევ რაღაც სწერია: მ...თ...ხ...ო...ვ...ნ...ე...ლ...ე...ბ...ს... — მთხოვნელებისაგანო...

## მილიციაში

— ბიძია, ხელი მოაწერეთ ქაღალდს.
— წერა-კითხვა არ ვიცი, შვილო.
— არსად გისწავლიათ?
— არსად, მხოლოდ შარშან სალიკვიდაციო სკოლა გავათავე.

## კახეთის მატარებელში

— ხალხო, არ დაიძინოთ, თორემ ქურდები მოგპარავენ რასმე. ეხლაც ერთ კაცს არც ეძინა, არც არაფერი და თვალწინ ხურჯინი ააცალეს.
— შენ თვითონ ამბობ, არ ეძინა და ააცალესო. ძილს მაინც რაღათ მოვცდეთ,— სულ ერთია, ასეც აგვაცლიან და ისეც.

## კრებაზე

სამ საათიან მოხსენების შემდეგ მომხსენებელი მიმართავს საზოგადოებას:
— ამხანაგებო, თუ ზოგიერთი რამ გამომრჩა, ან და თუ რამ გაუგებარი იყო, მომეცით შეკითხვები.
დარბაზში სიჩუმეა.
— ამხანაგებო, რატომ სდუმხართ? ნუ თუ შეკითხვები არაფერი გაქვთ?
ერთი მსმენელთაგანი გაუბედავათ წამოდგება, მაგრამ მეზობელი დასწევს ხელით და დასვამს:
— დაჯექ, შე ოჯახ-ქორო, ეხლა რომ შეკითხვა მისცე, თავიდან დაიწყებს მოხსენებას.

## გამოცდებზე

— მოიგონეთ, ამხანაგო, რამ შეაფერხა რევოლიუცია 1905 წელში?
— როგორ უნდა მოვიგონო, როდესაც მე 1908 წელში ვარ დაბადებული.

## ტრამვაიში

— კაცო, მუხლზე ნუ დამაწექი, იქით მიიწიე...
— რა მოხდა, რომ დაგაწექი. მე მთელი ოჯახი მაწევს კისერზე—ხმას არ ვიღებ, და შენ რომ მუხლზე დაგაწვე, რა მოხდება.

## „ვოლოკიტის“ წინააღმდეგ

— ჩვენი რაიონის უფროს მილიციელს ძალიან ეჯავრება „ვოლოკიტა“. მასთან თუ მივა ვინმე საჩივრით — წაჰკრავს კისერში მუშტსა და პანჩურის კვრით გააგდებს.



— ეს კოოპერატიული სასადილო ათი წელიწადია არ ,ებობს.
— მე ძეხვზე შევატყვე.



— მე ეხლა პოეტი გახლავართ. რედაქცია მწერს—თქვენი ლექსები მშვენიერიაო, გეტყობათ ნიჭი, ენაც კარგი გაქვთო, მაგრამ უბედურება იმაშიაო, რომ ამ ოციოდე წლის წინათ ეგ ლექსები ვაჟამ დაბეჭდაო.

## გამოუვალი მდგომარეობა

— რას ეძებთ, კაცო, ასე გაფაციცებით?
— რაღა რას ვეძებთ,—მთელი უბედურებაა. გუშინწინდელი კრების ოქმი დავკარგეთ და ეხლა აღარ ვიცით, ვინ არის საშეფო კომისიის თავმჯდომარე.

## „მომჭირნეობა“

— მომჭირნეობაში მე კაცი ვერ შემედრება,—წელიწადნახევარია კავშირის საწევრო არ შემიტანია.

## სარევიზიო კომისიის არჩევნები

„სარევიზიო კომისიების არჩევნების დროს ნაკლები ყურადღება ექცევა წევრთა შერჩევას“.

გაზეთებიდან.

— რატომ აძლევ ხმას უშტვინაძეს? ეგ ხომ მფლანგველია!
— რა ვუყოთ, რომ მფლანგველია, ხაზინადრათ ხომ არ ვირჩევთ, სარევიზიო კომისიაში ვირჩევთ.

## გაუფლანგველობის მიზეზი

— ჩვენი საურთიერთო სალაროდან ერთი შაურიც არ გაფლანგულა და არც მოხდება ეს.
— რატომ, ნუ თუ ასე ენდობით მოლარეს?
— იმიტომ, რომ სალაროში არაფერია.

## მათხოვარი

— მოწყალება გაიმეტე, შვილო!
— წვრილი ფული არა მაქვს, ხუთ მანეთიანს დამიხურდავებ?
— დაგიხურდავებ, შვილო.
— მაშ რაკი მაგდენი ფული გქონია, ხვალამდე ერთი მანეთი მასესხე.

## გამგის განკარგულება

— მე, ამხ. მდივანო, ძალიან მეჯავრება „ვოლოკიტა“. მიიღებ თუ არა რაიმე განცხადებას, იმავე წუთას საქმეში ჩააკერე.

მთავლიტი № 67. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

444/291 10-

ეროვნული
ბიბლიოთეკა